

ქართული ქრისტიანული პოეზია

ათ ტომად

თბილისი  
2014

ქართული ქრისტიანული პოეზიის ავტომეული ისტამბება ქარელის წმინდა ნიკოლოზის სახელობის საკათედრო ტაძრის მღვდელმსახურის მამა ილია ჩიკვაძის ლოცვა-კურთხევით.

ქართული ქრისტიანული პოეზიის ავტომეული გამოცემა ქრისტიანული პოეზიის ფესტივალის “წმინდა ნინოს ჯვარი” ფარგლებში.

პროექტის ხელმძღვანელი  
ლია დაუშვილი

პროექტის ავტორი  
და შემდგენელ-რედაქტორი  
აკაკი დაუშვილი

პროექტის კოორდინატორები:  
ანა ერისთავი  
გივი ჩიღვინაძე

©გამომცემლობა “ქალაღის წერო”, 2014

©გამომცემლობა “ივერიონი”, 2014

ISBN 978-9941-9333-1-8 (ათივე ტომი)

ISBN 978-9941-9333-2-5 (ტომი I)

წიგნი დაისტამბა თბილისის კულტურული ღონისძიებების ცენტრის ფინანსური მხარდაჭერით.

# ეკლესია-მონასტრები ქართულ პოეზიაში

## ტომი I

\* \* \*

დღეს ღირებულებათა გადაფასებისა და ზნეობრივი კრიტერიუმების სავალალო რღვევის ეპოქაში, როდესაც ადამიანური აზროვნება გაუგებრობასა და ქაოსს მოუცავს, განუზომელი მნიშვნელობა ენიჭება ადამიანში სულიერი საყრდენის ძიების პროცესს, რომელიც შეიძლება ითქვას, არის კიდევ პიროვნული განვითარების ძირეული პარადიგმა.

ქართული ქრისტიანული პოეზიის ათტომეული ამ უმძიმეს ვითარებაში უდაოდ არის მანათობელი ლამპარი, რომელსაც ძალუმს კომპიუტერიზაციით შეჭირვებული ადამიანის გულს, სულსა და გონებას შეახსენოს ის მარადიული ზნემაღალი იდეალები, რომელთათვისაც თავს სწირავდნენ ჩვენი დიდი წინაპრები, სწორედ მათმა თავდადებათა შემოგვინახა დღევანდელი და ჩვენი სულიერი თუ ფიზიკური არსებობაც მათი თავგანწირვისა და ზნეობრივი გმირობის შედეგია.

ღმერთმა აკურთხოს ამ საშვილიშვილო ეროვნული საქმის მესვეურნი.

ღმერთმა აკურთხოს და ხსნილჰყოს ყველა, ვინც ამ საქმეს შეეწია, ვინც გაეცნობა ამ ტომეულებს და სულიერ საგზლად წაიმძღვარებს ამ წუთისოფლის გზა-ბილიკებზე.

ჯვარცმულმა ღმერთმა იესო ქრისტემ ხსნილჰყოს თაობიდან თაობაში ყოვლისაგან განსაცდელისა ყველა – მკითხველნიც, ავტორნიცა და შემდგენელ-გამომცემელნიც. ამინ!

**მღვდელი ილია ჩიკვაძე**  
ქარელის წმინდა ნიკოლოზის სახელობის  
საკათედრო ტაძრის მღვდელმსახური,  
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

## ხალხური

### პირმა დაგლოცასთ ღვთისამა

პირმა დაგლოცასთ ღვთისამა,  
ნაწილმა ბარძიმისამან,  
ქალაქში სიონისამა  
დარეკამ ზარებისამან.  
მცხეთაში სვეტიცხოველმა,  
გადმომცქერალმა მტკვრისამან,  
ლომისამ თორმეწამემა,  
პატრონმან არაგვისამან,  
მა კობის წმინდა გივარგიმ,  
პატრონმა დიდის მთისამან,  
მა ბერმა წმინდა სამეზამ,  
პატრონმა ხმელეთისამან,  
ივანე ნათლისმცემელმან,  
პატრონმა ბაღღებისამან,  
მა ბახტრის წმინდა გივარგიმ,  
პატრონმა მგზავრებისამან.

\* \* \*

ქალაქში სიონ-საყდარი  
ბაგრატიონთ ააგესა,  
მაღლა ცაში აიყვანეს,  
თავს გუმბათი დაადგესა,  
ქვეშ მირონი გუბედ დადგა,  
ყმაწვილები დანათლესა.

\* \* \*

მტრედმა თავის სინდისითა  
ელუსამელ კოშკში დადგა,  
ზედ საყდარი ააშენა,  
შიგ მირონი გუბედ ჩადგა...

**გრიგოლ ორბელიანი**  
(1804-1883)

**თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში**

შენს წმინდა სახეს,  
შვენებით სავსეს,  
სახიერებით განსხივებულსა,  
ვუმზერ კრძალვითა,  
თაყვანცემითა,  
ცრემლ-მორეული გემთხვევი ფერხთა!  
მიხარის \_ გიმზერ,  
ვჰსწუხვარ \_ და გიმზერ,  
და ესრეთ მზერა მსურს სიკვდილამდე,  
არ გამოვფხიზლდე,  
რომ აღარ ვჰგრძნობდე  
ჩემი სამშობლოს სულით დაცემას!..  
ყვავილოვანი  
წალკოტი შენი,  
შენის დიდების სხივ-მოკლებული,  
აღარა ჰშვენის,  
აღარ გვიბრწყინვის  
შავ დროთა ძალით, ფერ წახდენილი!..  
და, ვით განვლილსა  
სიზმარსა ტკბილსა,  
მზეს დიდებულად ჩასვენებულსა,  
ვიგონებთ შენს დროს,  
გული გვიმაგროს,  
სრულად არ წავჰსწყდეთ ცის შემრისხავნი!  
ხნით დამაშვრალი,  
დაღონებული,  
შენადვე, მეფევ, მოველ ვედრებით:  
მოხედო ბედკრულს  
შენს სატრფოს \_ მამულს,  
და ჯვართა შენით აკურთხო კვალად.  
შენი ივერი

აღსდგეს ძლიერი,  
და დადგეს ერთად სხვა ერთა შორის,  
წმიდით საყდარით,  
ენით მდიდარით,  
სწავლისა შუქით განათებული!  
ზნე ამაღლებით,  
ძლევის დიდებით,  
სამშობლო მიწის სიყვარულითა! \_  
და გაგვიცოცხლდეს,  
რომ კვლავც მოგვესმეს  
სიტყვა ქართული რუსთაველისა.  
რომ განვიღვიძნეთ,  
სულით განვახლდეთ,  
და განქრეს ბნელი უმეცრებისა!..  
...მარამ ცად თვალნი  
გაქვს მიქცეულნი,  
და მე ველარ მცნობ გულ-შემუსვრილსა,  
დამცირებულსა,  
ხმა-მიღებულსა,  
ბედ-დაკარგულის ივერიის ძეს!  
ეჭვით აღვსილსა,  
უსასოდ ქმნილსა,  
გულ-უიმედოს, გაუხარებელს!..  
ვაჰ თუ რაც წახდეს  
ველარა აღჰსდგეს,  
ველარ აღყვავდეს ახლის შვენებით?  
და რაც დაეცა  
ის წარიტაცა  
შავმან ყორანმა ვით უმწე მსხვერპლი!  
ჰე, ცრუ სოფელო,  
დაუნდობელო,  
შენში კეთილი სად არს ფერ-უცვლელ?  
დიდება ჩვენი,  
ცად სხივ-მიმფენი,  
ნუთუ ესლა გვაქვს, ვჰხედავთ რასაცა?  
დაყრუებულსა,  
გზა შეუვალსა,  
უდაბურს ტყეში ტამარს დარღვეულს,  
სად სახე მეფის,  
დიდის თამარის,  
სჩანს ძველს კედელზე გამოხატულად!..

## ნიკოლოზ ბარათაშვილი (1817-1845)

### ვპოვე ტაძარი...

ვპოვე ტაძარი შესაფარი, უდაბნოდ მდგარი;  
მუნ ენთო მარად უქრობელი წმიდა ლამპარი.  
ანგელოსთაგან იკროდა მუნ დავითის ქნარი,  
და განისმოდა ციურთ დასთა გალობის ზარი!

მწირი სოფლისა, დამაშვრალი მისითა ღელვით,  
მუნ ვეძიებდი განსვენებას წრფელითა ზრახვით;  
გულსა, მოკლულსა კაცთ სიავით და ბედის ბრუნვით,  
ლამპარი წმიდა განმიტფობდა ციურის სხივით!

მუნ გუნდრუკის წილ შევსწირავდი წმიდას სიყვარულს,  
რომლის საკურთხად დავსდებდი მე ჩემს გულსა და სულს;  
ამა სიამით, ნეტარებით, ესრეთ აღვსებულს,  
მეგონა, ვხედავ სასუფეველს, აქ დაშენებულს!

მაგრამ საწუთო განა ვისმეს დიდხანს ახარებს?  
განქრა ტაძარი \_ და უდაბნო ჩემდა მდუმარებს;  
მას აქეთ ჩემს გულს ნეტარება არ ასადარებს,  
მის ნაცვლად სევდა და წყვდიადი დაისადგურებს!

მოისპო მსწრაფლად მისი ნაშთი და მისი კვალი!  
განა თუ დრომან დაჰკრა თვისი მას ავი თვალი, \_  
არა! მოსმაგდა მას სოფელი ცრუ და მუხთალი!  
დამშთა მე მხოლოდ მის ლამპრისგან ცეცხლი დამქრალი!

ვერღა აღმიგო სიყვარულმა კვალად ტაძარი!  
ვერსად აღვანთე დაშთომილი მისი ლამპარი!  
ესრეთ დამიხშო უკულმართმა ნუგეშის კარი,  
და დავალ ობლად, ისევ მწირი, მიუსაფარი!



## ბარბარე ჯორჯაძე (1833-1895)

### შუამთის მონასტრის მწირი

მთიდან ჩამოღმა რიყესა ვრცელსა,  
მიხრილ-მოხრილი ბილიკი მიჰსდევს,  
გზა ის კახეთის და იქ გამვლელსა,  
ტურფა ბუნება გაშლით წინ უდევს.  
კლდიდგან სხუა და სხუა, ცივნი წყნარონი  
ლურჯათ, კამკამად, მოჩქრიალებენ,  
ზედან ტევრები აქვს შეფუთქვნილი,  
ვარდნიც შიგა და შიგ აშვენებენ.  
მის გზისა ახლოს შენობა მოჩანს,  
ზღუდე ავლია თლილის ქვებისა,  
ხუროთმოძღვრების მას ვიზანტიის,  
აჩნია კვალი ხელოვნებისა.  
მას ზღუდეს ქვისას ორმხრივ გარეთა,  
მწვანეთ მოსილი ველები უძევს  
და იგი ველნი, ას წლოვან ხეთა,  
გრძელის შტოებით გადმოუჩრდილებს.  
გალავანს შიგნით, ახლო სახლსა,  
ტაძარი უდგას შემკული ტურფად,  
იქ მყოფნი ბერნი, წმინდა კერემისა,  
შეტრფიან ლოცვით დილით, თუ მწუხრად!  
რომ მივედ იქ იმ მყუდროს უდაბნოს,  
სადმართო გრძნობითა გული მიძგერდა,  
მოხუცი ბერი წამოდგა ახლოს,  
ხელს ვეანბორე, ის პირჯვარს მწერდა.  
მითხრა: შენ, შვილო, ვინ ხარ, რა გინდა;  
ილოცავ, შეხვალ წმინდას ტაძარსა?  
მიუგე: დიახ, ნახვა მომინდა,  
შორის ქვეყნითგან მგზავრად მავალსა.  
და რა გააღეს კარი ტაძრისა,  
წმინდათ ხატებს რა თაყვანი ვეცი.  
ბერმა: აი, გვამიც თინათინისა,  
ვისგან აღშენდა, მგონია იცი?  
დაჰსთმო სოფელი და დიდებაცა,

და აქ შესწირა გრძნობა და სული,  
მის ღვაწლს უყურებთ, ხედავ? დღესაც,  
ჰსჩანს გვჯობნებია ჩვენ ნივთეული.

## მარიამ ერისთავი

(1834-1858)

### იკორთა

#### (ფრაგმენტი)

ტაძარო, ვრცელო, რავდენტ საგანთ ხარ დამსახველი;  
შენში ცხოველობს ქსნის ერისთავთ დროები ძველი,  
მათი სიწმინდე და სიმდიდრე ნიჭი ყოველი!  
მაგრამ ეგ შენი თვალთ საამო ძველ სახეობა,  
და აწინდელი სავალალო მდგომარეობა,  
წარსულთა დროთა მოგონება სიზმრებ მსვლელობა,  
აღმავსებს ჭმუნვით და მაკლდება სულის მხნეობა.

რომლით, ტაძარო შენი ჭვრეტა, შენი ყურება,  
თუმც თვალთა ჩემთა განუწყვეტლად არ მოსწყინდება,  
მაგრამ რას ვხედავ? აწ დარღვევა გემუქარება,  
და მისთვის ნისლი მჭმუნვარების არღა გშორდება.  
თუმც დრომან თვისის ჩვეულებით გყო მიძველებულ,  
გარნა შენ იმა ხელოვნებით ქმნილხარ აღგებულ,  
იმ სიმეტრიით და ჩუქურთმით დანაკვეთებულ,  
რომ ნაქცევნიცა იქმნებიან შემდგომში ქებულ.

## ალექსანდრე აბაშელი (1884-1954)

### ტადარში

ნოემბრის ქარში ცივ ქუჩაში მოხეტიალეს  
შემაკრთობს ზარი და ტადარში შევალ შემთხვევით.  
მოვისმენ ღაღადს. ძველი გრძნობა უცებ იელვებს.  
ავანთებ ცრემლით ჩემს წამწამებს და ჯვარს ვემთხვევი.

არ ვიცი ბრძენი განცდას ამგვარს თუ რას დაარქმევს:  
არა მწამს ღმერთი და მის სახლში რა მეტირება!  
გამოვა მღვდელი. საცეცხლური სურნელს დააკმევს  
და ჩემი ფიქრი ცისფერ კვამლში ჩაიძირება.

სიყრმის ბურუსში გაბრწყინდება დრო შორეული:  
აღდგომა ღამე. სააღდგომო თეთრი ხალათი.  
მამის საფლავზე დედაჩემი ცრემლმორეული.  
იქვე სანთელი და საკურთხით სავსე კალათი.

საბრალო დედა! ჩემი გრძნობა უზენაესი  
შენს მწუხარ სახეს განუწყვეტლივ გარს ახვევია.  
კეთილო დედა! ჩქარა გაქრა ჩემი მათისი,  
და ბნელი ღამე, ო, რა მძიმე გასარღვევია!

წკრიალებს ვერცხლის საცეცხლური, და საკმეველი  
აღსავლის კარებს ცისფერ ღრუბლად ენარნარება.  
მორწმუნეთ შორის ვდგავარ უცხო კათაკმეველი,  
მაგრამ “განვედი” ჩემს ოცნებას არ ეკარება.

თავდება ლოცვა. ახსენებენ ჯვარზე ნაწამებს.  
დამავიწყდება, რომ შემოველ მე აქ შემთხვევით.  
ავანთებ ცრემლის ნაკერწკლებით დახრილ წამწამებს.  
გადავდგამ ნაბიჯს მოწიწებით და ჯვარს ვემთხვევი.

## ვალერიან გაფრინდაშვილი (1889-1941)

### ბოლნისის სიონი

#### *გიორგი ლეონიძეს*

უხნიერესო! დროთა დროებამ  
ეკლით შემოსა შენი თავანი.  
დღეს აირჩიე განმარტოება  
ისე, ვით პოზა ამპარტავანი.  
შენ გეზმანება ძველი დღეები  
და ძილში უსმენ ბრწყინვალე არაკს,  
როს დედოფლები და მეფეები  
წარჩინებულო! გწირავდენ ზვარაკს.  
შენ გეზმანება სულ სხვა წირვები  
აბჯარასხმული ჯარების შეხლა  
და სარკინოზნი გასაკვირვები  
დადუმებულნი მიწაში ეხლა.  
შენ გეზმანება თვითონ თამარი  
და მშვენიერი მისი ამალა.  
ო, ვინ გასთხარა ჩვენი სამარე  
და შენი სახე ვინ გადამალა?  
შენთან მოვედი, ვით მოციქული  
გამოგზავნილი ხმაურ ფაზისით.  
მცირე მსახურად მაინც მიგულე –  
ვსცნო შენი სახე უძვირფასესი!  
მე ცისფერ ყვავილს არ შეგადარებ.  
უსპეტაკესი ხარ საფირონი.  
დროთა იარებს მუდამ ატარებ,  
მაგრამ ტკბილია შენი მირონი.  
ცრუ მსოფლიოში ბევრი ვიარე  
და ვერსად ვპოვე მე დამშვიდება.  
შეუდრეკელო! მეც მაზიარე  
შენს მარადიულ ციურ დიდებას!

გალაკტიონ ტაბიძე  
(1891-1959)

ქებათა ქება ნიკორწმინდას

მაქვს მკერდს მიდებული  
ქნარი, როგორც მინდა.  
ჩემთვის დიდებული  
სხივი გამობრწყინდა.  
მკვიდრად ააშენა,  
ვინაც ააშენა  
და ცით დაამშვენა  
დიდი ნიკორწმინდა.

გზნებით დამკარგავი  
გრძნეულ ჩუქურთმებით,  
ქარგით დამქარგავი  
ნაზი შუქურთმებით,  
ნეტა ვინ აზიდა,  
ან როგორ აზიდა,  
რა ხელმა აზიდა  
მალლა ნიკორწმინდა!

რა განძი გვექონია,  
რა მხნე, რა მდიდარი,  
ჟღერს ქვის ჰარმონია –  
დარობს რამდი დარი.  
კარგად გამოჰკვეთა,  
ვინაც გამოჰკვეთა,  
სიბრძნით გამოჰკვეთა  
მძლავრი ნიკორწმინდა.

აქ რომ თაღებია,  
სვეტთა შეკონება,  
ისე ნაგებია,  
სიზმრის გეგონება.  
ნეტა ვინ ააგო,  
რა ნიჭმა ააგო,  
რა მადლმა ააგო

სვეტი – ნიკორწმინდა!

გრძნობ, ვით დიადია  
თორმეტი სარკმელი,  
ხაზებში ანთია  
ცეცხლი მისარქმელი:  
ნეტა ვინ აანთო,  
რომ გრძნობით აანთო  
და წლებს გადაანდო  
ნათლად ნიკორწმინდა!

ხვეულთ დიადება  
ვხედავ – რა უხვია,  
დრომ მას დიადმა  
კრძალვით შეუხვია.  
ნეტა ვინ მოჰქარგა,  
და როცა მოჰქარგა,  
შიგ მიჰკარგ-მოჰკარგა  
გზნება – ნიკორწმინდა!

მკვეთრი და მოქნილი  
ხაზთა დასრულება  
არის ამოდქმნილი  
ნატვრის ასრულება.  
ეს ის სიმკვეთრეა,  
ეს ის სიმდიდრეა,  
რაითაც მკვიდრია  
ძეგლი – ნიკორწმინდა!

შენის სულმნათისად  
ასვლა ეროვანი:  
ყელი გუმბათისა  
მაღალღეროვანი,  
ცამდის აღერილი,  
ნებით აღერილი,  
სათნოდ აღერილი,  
გშვენის, ნიკორწმინდა!

მზერა ქართულია  
სივრცის დაუნჯებით,  
თვალი გართულია

ფრთიან ფასკუნჯებით:  
ფრთები, ფრთები გვინდა,  
კიდევ ფრთები გვინდა,  
გინდა დაეუფლო  
სივრცეს, ნიკორწმინდა!

შენ, ფრთამოდულუნეს  
ჟამთა სიმაღლეზე,  
ჩვენი საუკუნე  
გიცავს, უახლესი:  
მძლავრი ხელოვნება,  
ხალხის ხელოვნება –  
ბრწყინავს საქართველოს  
ქებად ნიკორწმინდა!

## კონსტანტინე ჭიჭინაძე (1891-1960)

### ბარაკონი

ჩემს ქვეშ ისევე მშობლიური ჰყვავიან მთები  
და კვლავ ნაცნობი ეუფლება სულს მღელვარება.  
აღმოსავლეთით წამოშლილი სადამოს ფრთები  
დასავლეთისკენ მიირხევა ოქროს ღვარებად.

თითქოს წამდგარა საჭიდაოდ ქედის წინ ქედი,  
ჩრდილში მიძვრება ძირს რიონი, როგორც დრაკონი,  
კლდეზე სხივები კანკალებენ და ბარაკონი  
თეთრად ქათქათებს, ვით ჯეჯილში ჩამჯდარი გედი.

უკვე წუთხარო წარბშეკრული ყაბალახს იხვევს,  
თრთიან უღონოდ შორეული ელვის რკალები.  
გუნდი გაფრინდა მტრედებისა და ნამგალები  
დაფეთებული გარს უვლიან შხუილით ციხეს.



ტიციან ტაბიძე  
(1893-1937)

## ალავერდობა

### *ნატა ვაჩნაძეს*

ჩარდახიანი დგანან ურმები,  
კამეჩი კამეჩს ლანდით აშინებს.  
გამოუცლიათ ღვინის რუმბები  
ხატობას მოსულ ვაჟას აფშინებს.

კავკასიონსაც შეცვლია გვერდი  
და სიყვარულის დასხმია რეტი.  
სურს მოიტაცოს ეს ალავერდი –  
ბარში დაბმული ტაძარი მტრედი.

დღემ მოატანა ალაზანამდე,  
ნისლის შავი ზღვა რომ გადათელა;  
დღეო, ნეტავი აღარ დაღამდე,  
თუ დაღამდები, არ გაგათენა.

მეორე მხრიდან ალაზანს უწევს  
მთვრალი ფარეხი ღამენათევი,  
თითქო მინდიას სუფრა გაუწყვეს,  
გველის მჭამელი დევს აწევს დევი.

მავთულზე ცეკვით ქანცმილეული  
ცეცხლს მიჯდომია ქისტი ჯამბაზი,  
ხალხიც ისეა აქ არეული,  
როგორც არღანი და მუხამბაზი.

მაგრამ ამ კახეთს სხვა ხმაც ევალა  
თეთრი ტახისა და თეთრი ბატის;  
მღერის ახალი დედას ლევანა,

ხმა ალავერდის საძირკველს ჩადის.

ზედ რომ მიუშვა, ამოთხრის ძელქვას,  
ეხლა კი სეირს უნდა უყურო;  
დაუთოკია სიკვდილის წელკავს  
სვეტზე მიბმული კურატი კურო.

ნეტავ რამ წვიმა, ანდა რამ თოვა  
ამდენი ხალხი და ჯამაათი.  
შესმენ ალაზანს, ღვინოთ თუ მოვა,  
და ახლა კიდევ, ჭამა თქვი მათი.

ტკბილო კახეთო, მადლი შენ გამჩენს,  
შენ ბარაქიან და რძიან ცურებს,  
ღრუბელი ცაზე მიაგავს კამეჩს  
და კამეჩივით ღამე მისცურავს.

დგას ოხშივარი და ორთქლი მწვადის,  
კაცი ამ ბოლში თვალს ვერ გაახელს.  
ირემი ირემს ბალახს მიაწვდის,  
სავსე ღვინის ჯამს – კახელი კახელს.

დგას ფიროსმანი, ხატავს დღეობას  
და ჩარდახიან ურმების მორევს.  
ვაჟა-ფშაველა უქებს ხელობას  
ჯიხვის შაირით შესცვლის მეორეს.

შეიბნენ ერთად შაში, კაკაბი,  
ბესიკის გაფი და საათნოვა,  
კიდევ ბევრია ლხინის საბაბი,  
ახლა კახეთში რთველი შემოვა.

ტკბილო კახეთო, მადლი შენს გამჩენს,  
ქვეყნად რომ არვის დავეჯახნებით,  
ალავერდიდან მოვალთ ალავერდს  
სავსე ცხოვრების დიდი ჯამებით.

## საფო მგელაძე

(1894-1936)

### ბაგრატის ტაძრის ნანგრევები

ვნახე ტაძარი ბაგრატის ქმნილი,  
ვნახე წარსულის ნაშთი რღვეული,  
ვნახე საფლავნი უღვთოდ დანთქმულნი,  
ვნახე კედლები ჩამონგრეული...

ვნახე ადგილი ტურფა, მთიანი,  
ქვები დათლილი, ჩუქურთმიანი  
და მით მდულარე წყლულს გადამესხა,  
თავი დავლუნე, გავწითლდი, შემრცხვა...  
შემრცხვა ყველაფრის, შემრცხვა იმისი,  
რომ მთლად გავმხდარვართ საჯიჯგნი სხვისი,  
რომ ცხოვრების გზა ცუდად გვივლია,  
კაცო! თუ ახალ ნერგს აღარ დარგავ,  
ძველს რაღად ახმოვ, ძველს რაღად კარგავ?!  
კაცი ჭკვიანი სახლს არ დაამხოვს,  
ახალ ხეს დარგავს, ძველს არ გაახმოვს.  
შენ კი, ქართველო, აბა, რა ჰქენი?  
აბა, რას ამბობს შენი საქმენი?!  
რა გააკეთე, რა შეიძინე?  
ღვინო დალიე, გაილიღინე...  
ადგილ-მამული ნაანდერძევი  
ვერ შეინახე, ვერ დაიცავი,  
თითო-ოროლა გროშად დაჰყიდე.  
ხმალი კუთხეში უქმად დაჰკიდე,  
გაიძახოდი: “მაცა” და “მაცა”  
და ამ ძახილში სხვამ დაიტაცა:  
შენი ქონება, შენი სახლ-კარი...  
აჰა, რღვეულა დიდი ტაძარი  
და ქართველთა ძე ნეტავ სად არი?!  
რად არ ამოვა ამ მთის წვერვალზე,  
რა აფარია ნეტავი თვალზე?  
რად არასა გრძნობს, რად არას ხედავს,  
ბედი დაჩაგვრას როგორ უბედავს?!

ვნახე ტადარი ბაგრატის ქმნილი,  
ვნახე წარსულის ნაშთი რღვეული,  
ვნახე საფლავნი უღვთოდ დანთქმულნი,  
ვნახე კედლები ჩამონგრეული...

**გიორგი ლეონიძე**  
(1899-1966)

## შენ და სვეტიცხოველი

ცალია დღეა,  
შუქი დგა სვეტად,  
მომწონს და მიყვარს  
მზის ქვეშ ყოველი...  
მაგრამ ამ დილას,  
ყველაზე მეტად,  
მიყვარხართ შენ და სვეტიცხოველი!

სიწმინდე შენი,  
სიმაღლე მისი, \_  
სხვა რა ვიწამო,  
განძი რომელი?  
ჩაწნულხართ სულში  
უკვდავ ჩუქურთმად,  
ძვირფასო, \_  
შენ და სვეტიცხოველი!..

სიმონ ჩიქოვანი  
(1902-1966)

## გრემის სამრეკლო

არ დანგრეულა მგონია გრემი,  
თვალზე არ მწყდება კურცხალი ცრემლი,  
როგორც ცისფერ ზღვას მიაპობს გემი,  
ისე მიცურავს ლაჟვარდში გრემი.

გრემი ჰგავს ისევ წარსულის ბერკეტს,  
ხევს ეტურფება მაღალი თხემი,  
მგონი სამრეკლოს ზარები რეკენ  
და ცის გუმბათზე წკრიალებს გრემი.

მუდამ ჭარმაგი და მუდამ მრწემი,  
ისევ ამშვენებს დახუნძლულ კახეთს,  
ჰგავს უკვდავების ცვალებად სახეს  
და იმოსება ბალახით გრემი.

ხევის მდინარე ჩხრიალებს ქვაზე.  
ხავსი ედება გარანდულ ლოდებს  
და მეჩვენება, სამრეკლოს თავზე  
თეიმურაზი ჩუმი ხმით გოდებს.

მუდამ ჭარმაგი და მუდამ მრწემი,  
მეც სითამამეს მინერგავს გრემი,  
ცვრიან ბალახით ციმციმებს თხემი  
და მე არ მწყდება კურცხალი ცრემლი.

როგორც ზღვის ტალღას მიაპობს გემი,  
ისე მიცურავს ლაჟვარდში გრემი.

## ვიქტორ გაბესკირია (1903-1964)

### ეკლესიაში

ეკლესიაში მზემ სხივები ჩუმად გააბა,  
კრთის საკმეველში და გუმბათი ოდნავ განათდა,  
ქვის მაღალ სვეტთან ჩაიკეცა ქართული კაბა,  
ლოცულობს სათნოდ ქალიშვილი ღვთისმშობლის ხატთან.  
ის ლოცვით არღვევს ეკლესიის ცივსა სიჩუმეს,  
სახლსა უფლისა მოკრძალებით შორდება მრევლი,  
ქრება სანთლები, ვარდის ბაგით ის კვლავ ჩურჩულებს,  
დაჰკიდებია წამწამებზე ობოლი ცრემლი.  
გაქვავებულა, თითქოს ის მთლად ლოცვას დანებდა,  
ვინ უწყის, იგი უფალს რას სთხოვს, ვის შველას ფიქრობს...  
უცებ წამოდგა მომხიბვლელი და წმინდანებმა  
ცივ კედლებიდან გადახედეს ერთმანეთს თითქოს!

## ნიკო სამადაშვილი

(1905-1963)

### ატენის სიონი

დასაბამს ქვემოთ აქ ტყე ბუდობდა  
პირქუში, როგორც ამაოება.  
შეხიზნებოდა მთებს ქურდებივით  
გამოქვებული და მყუდროება.

სქელი ნისლები მდორედ ხრჩოლავდნენ,  
ყრუდ ჭრიალებდა ხევის ანჯამა.  
ვარსკვლავნი ისე მოსჩანდნენ ღამე,  
თითქოს ზეცა ჩრჩილს ამოეჭამა.

უფლის ნათელი დაბარბაცებდა  
გაუთენარი გზების ბოლომდე.  
კერპები თვლემდენენ გაღმით ბორცვებთან,  
ჟამს რომ კივილით ჩამოჰყოლოდნენ.

დრო იყო, როცა ბნელ სასუფეველს  
მდინარე ტანა ჩაუდიოდა,  
საიქიოდან წუთისოფელი,  
როგორც მამალი, ისე ყიოდა.

სადღაც მღვიმეში ენთო კანდელი,  
ხელში ხატები ეჭირათ ჩრდილებს.  
მოციქულებს კი, გარდტანის კლდეზე,  
ჩასძინებოდათ აღთქმით დაღლილებს.

წარმართთა ძვლებზე იდგა ტამარი,  
ზევით ლეგენდა მიჰქონდათ მთიებს,  
ძირს წმინდა ნინოს ნაფეხურები  
ჰგავდნენ სისხამზე მოკრეფილ იებს.

ვით უკვდავება, წყარო ანკარა

აცისკროვნებდა ირმების ფერდობს.  
ქრისტემ ბავშვობა აქ გაატარა  
და ღვთისმშობელი უგვიდა ეზოს.

მოსულ შეთქმულთა ნათელ ოცნებას,  
გუმბათის სვეტი გარს იტბორებდა,  
მოხუცი ღმერთის აქ ნათქვამ ლოცვებს  
სამრეკლო ღამე იმეორებდა.

სიონში მრევლის ტევა არ იყო,  
გარეთ გალობდნენ მწირი ბერები.  
ჯილა ცაცხვები იდგნენ ყორესთან,  
ვით ხანშესული ქალდეველები.

ჩუქურთმებს ტაძრის ბანი აეპყროთ.  
ელავდა მთვარე \_ ქურუმთა ოდა.  
მოჰქონდათ ჯვარ, ჭრალები ენთო,  
და დანახვისზედ ჭოტი კიოდა?



## ირაკლი აბაშიძე

(1909-1992)

### მცხეთა

თუ ყველაფერი არის სიზმარი,  
თუ ბინდის ფერი არის ყოველი,  
მაშინ რატომ დგას დღეს მცხეთის ჯვარი,  
რატომ დგას ისევ სვეტიცხოველი?

რატომ ელვარებს უძველეს ქვაში  
სამთავროს სვეტი მცირე და დიდი  
ან ზედ ქალაქთან შეგუბულ მტკვარში  
რატომ ჩანს ისევ პომპეის ხიდი?

მე დაგანახვებ არმაზის მხარეს \_  
კედლებს, ნანგრევებს, მკვდარ ნაქალაქებს,  
სადაც არაგვის უძლეველ მთავრებს  
სძინავთ – ჩვენს ძველთა ძვალშესალაგებს.

და გაგახსენებ იმ დღეებს, როცა  
მცხეთას ზღაპრული გახსნეს თაღები,  
და ჩვენს წინ, როგორც მეორედ მოსვლა,  
აღსდგნენ არმაზის სარკოფაგები.

ჩვენ აღტაცებით დავცქერით განძებს,  
აკლდამის ქვებში მარჯვედ ჩასმულებს:  
საოცარ თვლებით მოჭედილ თასებს,  
საოცარ თვლებით ნაჭედ სასმურებს,

სურებს, გვირგვინებს, ლარნაკებს, ხონჩებს,  
კვლავ ცოცხლობს რაღაც უცნობ წამალით...  
(თუმცა ამაოდ ვეძებდით ჩონჩხებს \_  
ქვებში არ ჩანდა ძვლის ნატამალიც)

და მე ვფიცავდი თავსა და სინდისს,

ამ უცხოელ ნაჭედ განძის მპოვნელი,  
რომ ყველაფერი არ არის ბინდი,  
რომ არც სიზმარი არის ყოველი.

რომ იქნებ მათაც,  
მიწიდან ახლა  
ამ ძვირფას თვლებით რომ შემოგვხედეს,  
სიზმრად მიაჩნდათ ყოველი ქვეყნად,  
ამ უკვდავ განძის ძველ შემოქმედებს.

ჩვენ კი დღეს სწორედ,  
ჩვენ კი დღეს სწორედ,  
ათას წელს ქვებში მოწმედ დებულებს,  
ათას წლის შემდეგ მაღლა ვწევთ სურებს,  
სასმურებს, მათგან მოწოდებულებს.

არა, არ წაგყვეს,  
არ წაგყვეს ჯავრი, –  
თუ ბინდის ფერი არის ყოველი,  
რატომ დგას, რატომ, დღეს მცხეთის ჯვარი,  
რატომ დგას ისევ სვეტიცხოველი!

## ანდრო თევზაძე

(1912-1967)

### ალავერდის ტაძართან

ალავერდო, გთხოვ, მავედრო  
შენი სრულქმნის სიძლიერეს,  
ჩემი სული სანთლად გენტოს,  
ჩამოგვხედე მიწიერებს.

ალავერდო, არ ინებო  
დავიწყება ბალავრისა,  
ბნელში დანთქმულ ქვათა ძალამ  
აგამალა ღალადისად.

თეთრი კედლის შუქით ვთბები  
და გუმბათის მხიბლავს ეშხი;  
შენი ჯვარი ნისლის ფრთებით  
გარეულა ვარსკვლავებში.

კვლავ ამაღლდი ველთა ზედა,  
ხმა შთაბერე ჩამქრალ ზარებს,  
განაწამებ ქართველის დედას  
დამწვარ მკერდზე დაეფარე.

ალავერდო, გთხოვ, მავედრო,  
შენი სრულქმნის სიძლიერეს,  
ჩემი სული სანთლად გენტოს,  
ჩამოგვხედე მიწიერებს!..

## გრიგოლ აბაშიძე

(1914-1994)

### ზარზმა

ცეცხლით და ზარით დაეცა ზარზმას,  
მაინც დაინთქა ურდო მონგოლთა,  
ზარზმამ რამდენჯერ გაუძლო ჯვარცმას,  
რამდენი ნახა ზარზმამ გოლგოთა.

შემდეგ იმძლავრა თურქმა და სპარსმა,  
გვიტევდნენ სულის ამოხდომამდი,  
იმ ქარიშხლებსაც გადურჩა ზარზმა,  
ტალღებზე დადგა, როგორც ხომალდი.

მაგრამ სხვაც ახსოვს კარგი დრო ზარზმას,  
თხისებრ დამფრთხალი თურქთა ბრბოები,  
როცა ჯვრის სახედ შეკრულმა ვაზმა  
გადაანათა უდაბნოები.

მაშინ ძლიერნი და მკლავმაგრები,  
მტრებს თვით ზარავდნენ გაბატონებით,  
მესხეთს მართავდნენ ათაბაგები  
და ტახტზე ისხდნენ ბაგრატოვნები.

სამოთხეს ჰგავდა ქართლის მთა-ბარი,  
ულრუბლო იყო და სხივოსანი,  
მაშინ აქ იდგა ლოცვად თამარი  
და ჯარს უძლოდა დავით სოსლანი.

ამოდიოდა სამცხის ბალებით  
თვითონ რუსთველი \_ მეფე მგოსანი.  
იქარგებოდა ზარზმის თალები,  
იხატებოდა გარდამოხსნანი.

და აბრმავებდა ჩუქურთმის მკაზმავს,

ალბათ, თამარის შუქთა თოვანი  
და მალღებოდა ღრუბლებში ზარზმა,  
ტამარი \_ ნათელ-გუმბათოვანი.

## რევაზ მარგიანი (1916-1984)

### კვირიკეს ტამარი

გინახავს ლურჯი ტამარი,  
კლდის ქიმზე დაკიდებული,  
ჩვენი წარსულის ზღაპარი,  
ზეცაში გარინდებული?

მშფოთვარე სულით ნაშენი,  
გლებკაცის მაღლით ნაგები,  
ტამარი, ირგვლივ შემკული  
ნისლების ბაირაღებით?

გინახავს გათენებისას  
როცა აჰყვები ბილიკებს,  
როცა მაღლიდან დაგცქერის  
გარინდებული კვირიკე?

გინახავს? დაგავიწყდება  
ჩამქრალი კერის ნაცარი,  
აფეთქებული კვარებით  
განათებული ტამარი?

ჭერშებოლილი სენაკი,  
შავი მღვიმე და უკუნი,  
გსმენია ქარის ჩურჩული,  
ან წინაპრების გუგუნი?

გინახავს ლურჯი ტამარი,  
უხმოდ მოსული ცისკარი?

გინახავს მზის მობრძანება  
გალაღებული, ცინცხალი,

ან ის ქედები ზღაპრული,  
ნანატრ ზღაპარში ხილული,  
ზეცაში გადმოკიდული  
აღმოდებული ყინული?

გინახავს? მოგისმენია  
ჩიტების ფრთების ფათქუნი,  
მათი წარმტაცი გალობა \_  
ჩვენი ლამაზი ქართული?

გინახავს? დაგავიწყდება,  
როცა აჰყვები ბილიკებს,  
როცა მაღლიდან დაგცქერის  
გარინდებული კვირიკე.

ოსტატის მაღლით ნაშენი \_  
მაღლა, ზეცისკენ წასული,  
ზეცაში გარინდებული \_  
მოსაგონარი წარსული?

იოსებ ნონეშვილი  
(1918-1980)

## ჩუქურთმისმჭრელის ეპიტაფია

მე ქაშუეთის ჩუქურთმას ვჭრიდი,  
ჩემი მღელვარე სულის ჩუქურთმას.  
გაშლილი მქონდა ვარსკვლავთა წიგნი,  
ლოდეებს არ ედო ხავსი, ვით ფიქრი  
და გული თითქოს ჩემებრ უხურდათ...  
მე ქაშუეთის ჩუქურთმას ვჭრიდი,  
ჩემი მღელვარე სულის ჩუქურთმას.

გვიმრის ფოთოლი თუ რტო ვაზისა,  
მელქვაზე ფრთხილად ასული სვია  
ისე დავხატე ქვაზე ფაქიზად,  
რომ ჩემს სუნთქვაზე იწყებდნენ შრიალს.

და როს დაადგა ღვთის თვალი ტამარს,  
ანგელოსებმაც მარჯვენა მიქეს,  
მე ღმერთი ვიყავ და ვიქეც კაცად,  
მე კაცი ვიყავ და ღმერთად ვიქეც.

მაგრამ, უცნობო, როს სანთლის შუქი  
აგიჩირადდნებს მწუხარე სახეს,  
მე მადლობელი ვიქნები, თუკი  
შენდობას ეტყვი ჩემს ცოდვილ სახელს.

რადგან მე \_ უღირსს, ცოდვა რამ მაძევს,  
ო, ცოდვა მაძევს მე მეტად დიდი...  
როცა ბოლნისის ვარდისფერ ქვაზე  
ღვთისმშობლის წმინდა ხატებას ვჭრიდი,

მე თვით არ ვიცი, საიდან გაჩნდა  
ჩემი მიჯნური შემართულ ისრით

და ღვთისმშობელის თვალების ნაცვლად  
როგორ დავხატე თვალები მისი.

მე თვით არ ვიცი, რად დავამგვანე  
ეს ჩუქურთმები მის დალალ-კავებს.  
და ვგრძნობ: არა არს ქვეყნად თუ ცაში  
გულთამხილავის მიუწვდომელი.  
წარბს შეჰკრავს რისხვით და ალბათ მაშინ  
განკითხვის მძიმე ჟამი მომელის...

და, ჰე... უცნობო, როს სანთლის შუქი  
აგიჩრადდნებს მწუხარე სახეს,  
მე მადლობელი ვიქნები, თუკი  
შენდობას ეტყვი ჩემს ცოდვილ სახელს.



## ხუტა ბერულავა

(1924-2004)

### ეპიტაფია სვეტიცხოვლის აღმშენებლისა

არა მყოლია მეციხოვნენი.  
არა ვყოფილვარ მეტის მოხოვნიელი,  
მე შევექმენ მხოლოდ სვეტიცხოველი!  
მარადისობას შეჭიდებული  
არვის ვეგონო ძე დიდებულის,  
გვარიც არ მქონდა ძველი, ქებული.  
არა მწყალობდა ბედი და ღმერთი,  
ხან სიხარული დამქონდა მკერდით,  
აღვივებოდი ჟამიჟამ სევდით.  
მე თვით უარვყავ ცხოვრება მშვიდი  
და მყუდროების სავანე ფლიდი...  
ვიდექ: ვძერწავდი, ვჭრიდი... და ვშლიდი.  
სიტკბოებისთვის კარი დავხურე,  
ხან ვიშიმშილე, ხან ვიმარხულე  
და ღვთის სახელით ხალხს ვემსახურე.  
ქმნა კეთილისა ყოფილა ჯვარცმა...  
რამდენი ლოდი დავლეწე კაცმა!  
რამდენჯერ ვიგრძენ მიმწუხრის განცდა!  
რაც კი ძალმედევა, არ დავიშურე,  
ქვაზე ჩუქურთმა ვაშარიშურე,  
იშვა ტაძარი და... შავი შური.  
როგორ შევჩივლო მშობლიურ ტყე-ველს,  
ვისაც მივენდე, ვინც აღვაზევე,  
უარმყოფელი გამიხდა მევე.  
მანაც დამიგმო ნამოღვაწარი,  
ახლა მცხეთაში თქვენს წინ რაც არი  
და მომაცარა თვალში ნაცარი.  
თვალეზში თვითონ ჰქონია ნისლი,  
სიყვარულის წილ ლაჩრული ზიზღი, –  
ღმერთმა მიაგოს, ღირსია რისიც.  
ჰკიოდა შური რისხვით და მღურვით:

\_ რომ არ გვასვენებ, რად არ გვასვენებ,  
რომ აღაშენე რად აღაშენე?!  
და... ხალხის თვალწინ მომჭრეს მარჯვენა!  
არცა მეფემ და ქვეყნის გამჩენმა,  
არც ვინ იჩქარა გადასარჩენად...  
ხუროთმოძღვარი რაა უხელოდ? \_  
ის, რაც მთიბავი არის უცელოდ,  
ძმობილი უძმოდ, სოფელი უგზოდ,  
ზეცა უმზეოდ, მამა უძეოდ,  
სახლი უკაროდ, ქარი უქაროდ,  
ეზო უჭიშკროდ, მშვილდი უისროდ.  
მარღვი უსისხლოდ, მთები უნისლოდ,  
ნანა უდროოდ, მუხა ურტოდ,  
სატრფო უცრემლოდ (ანდა უჩემოდ!)...  
ქვაში ავანთე ფერი ყოველი.  
მე დაგიტოვე სვეტიცხოველი  
და არ გეგონო მეტის მთხოვნელი:  
ხალხო მშობელო, ბრძენო, მამვრალო,  
თუ გსურს, ამაყად ფრთები გაშალო,  
შვილებს ოცნება უნდა აცალო.  
უნდა აცალო ფიქრი და დარდიც!  
მადლი ამქვეყნად შუქივით დადის,  
არ დაუკარგო ნამცეცა მადლი.  
არაკაცს ნულარ მისცემ არჩევანს,  
მალლა ასწიე ჩემი მარჯვენა  
ბევრი მარჯვენის გადასარჩენად!  
იკმარე ჩემი მოჭრილი ხელი,  
იყავი შვილთა ერთგულთა მცველი,  
თორემ ბასრია სიკვდილის ცელი,  
და სინანული იქნება გვიან,  
და გმინვა გულის იქნება გვიან,  
და სიყვარულიც იქნება გვიან!

ანა კალანდაძე  
(1924-2008)

## მას, ალავერდის დიდებულ ტაძარს...

მას, ალავერდის დიდებულ ტაძარს,  
ალაზნის პირას თეთრად ანთებულს,  
კვლავ მოიხილავს,  
კვლავ მოიხილავს  
ქეთევანისა წმინდა ხატება...  
მრავალმოწამე გურჯთა დედოფალს  
კალთა სავსე აქვს თეთრი ვარდებით  
და დიდებული თვისი ნაბიჯით  
ცით  
მიწისაკენ მიემართება...  
ამობრწყინდება დიდი ნათელი  
მარადიული მწუხრის წინაშე...  
წითელი ვარდით გზა ეფინება:  
ცოდვილიანი ნანობს შირაზი!  
მას, ალავერდის დიდებულ ტაძარს,  
ალაზნის პირას თეთრად ანთებულს,  
კვლავ მოიხილავს,  
კვლავ მოიხილავს  
ქეთევანისა წმინდა ხატება.

ოთარ ჭელიძე  
(1925-1998)

### კუმურდოს ტაძარი

უდაბურ ზეგანზე სადგურდება  
ნგრევის და არყოფნის ნატერფალი,  
ინთქმება, იქცევა ნადგურდება  
კუმურდოს უმრევლო კათედრალი.  
დრო ლოდებს აგორებს ყომარავით,  
გარშემო ნამსხვრევთა შრაპნელია,  
და ჯვარი დამფრთხალი ყორანივით  
საფლავის ბალახში ჩაფრენილა.  
ნაგები ზეკაცურ რუდუნებით  
იშლება ტაძარი ნახანძრალი,  
ბავშვები ისვრიან შურდულებით  
აწმყოდან წარსულში გადამძვრალი.  
ღვთისგან და კაცისგან მიგდებული  
თვალებში ჩამცქერის მგლოვიარე,  
პორტალი მანიშნებს დიდებული:  
მომხედე, მიშველე, მომიარე;  
გამთანგველ გოდებას ვუჩუმდები  
და სულში გუბდება ქარტეხილი,  
კამარის იყრება ჩუქურთმები,  
სამოთხის ვაზებად დაგრეხილი.  
ინთქმება, მიწაში ითესება,  
სვეტები ემხოზა თავდაყირა,  
რაც ოფლი აღვარეს ქიტესებმა –  
ფრეზებზე მარილად გადაჰყრია.  
თაღის წილ ლაჟვარდის ნახევია,  
სიწმინდე ლივლივებს ქალწულური,  
ქვის მტევნებს ტბებივით გახელია  
მარცვლები – ცრემლებად დაწურული.

უდაბნოს დუმილი სადგურდება  
ბზარებში ამოჩრილ ბალახვით,  
კურთხეულ ოსტატთა საკუთრება  
ქარს მიაქვს უჩინარ ბალდახინით.  
და თითქოს ზარები დაირეკა,  
წკარუნი ჩამესმა დამურული,  
მიმწუხრის ჩრდილებად აირეკლა  
ფრესკები \_ წაშლილი, გამურული.  
ვილაცამ ყვედრებით წამომძახა:  
\_ ნანგრევზე ვალალი გვიანია;  
უკვდავის მოკვდავად წარმოსახვა  
ვინ უწყის, რაოდენ გვინანია.  
უდაბურ ზეგანზე ბანაკდება  
უთალო, უმრევლო ნატაძრალი,  
დაქცეულ სიცოცხლის ქანდაკებად  
მაინც დგას ქვითკირის პატარძალი.  
უებრო ლაზათი შეუცვლია  
და, როგორც გაფანტვა წვრილმანების,  
კუმურდოს აროდეს შეუძლია  
დაკარგვა ყოფილი ბრწყინვალეების,  
რადგან მან ხარკვით ჩააბარა  
საწუთროს მშვენება გარდასული  
და ყოფნა-არყოფნის ანაბარა  
არ უცდის უკვალო დასასრული.  
ფესვებით სამარხთა ბორცვებზეა,  
წმინდაა კაცთანაც, უფალთანაც  
და თეთრი ლოდების პროცესია  
უგალობს ამო სულთათანას.  
ჟამთასვლა მოკვდავებს უმკლავდება,  
ტაძარი ვერასგზით წაუშლია,  
რამეთუ კუმურდოს უკვდავება  
გაცლია და უკვე წარსულშია.

## მიხეილ ქვლივიძე (1925-2005)

### მცხეთის ჯვარი

დილით, მნათობის ცხოველი სვეტი  
სვეტიცხოველის თავზე ინთება,  
არაგვიც მოჰქრის არაგვიანი  
და მხოლოდ ერთი \_  
მცხეთის ჯვარია მთლად გარინდება.

მთაზე, მთისფერი, როგორც მიმინო,  
ჩასჭიდებია ფლატეს ჭანგებით.  
მე გარინდება მაოცებს მისი,  
მე არა მჯერა მისი სიბერის,  
თვალს ვერ ვაშორებ და თითქოს ველი \_  
საცაა გაშლის ფრთებს ვაჟკაცურად,  
მთას აიტაცებს ნადავლის მსგავსად  
და მცხეთას თავზე გადაუქროლებს...

**სილოვან ნარიმანიძე**  
(1925-2007)

**სვეტიცხოველი**

ვიხსენებ წარსულს,  
და ვფიქრობ შენზე,  
ვინ, ან, რა ძალამ წარმოგაჩინა!  
მტერმაც კი, ხელი ვერ აღმართა უკვდავებაზე...  
შენ სიღიადემ უმეტეს სხვაზე,  
და მეოფებამ გადაგარჩინა!  
ვერც გრიგალებმა,  
ეპოქებმა სისხლის წვიმებით,  
ვერც მცხუნვარებამ, – ათასი წლის მზის მცხუნვარებამ,  
ვერვინ დააცხრო შენი გზნება, უმაღლესობა  
და სულთა ჩვენთა შენი მეფობა!  
ო, დიდებულო, საოცრებავ ჩვენო, ოდითგან,  
ნირშეუცვლელო, წარუშლელო მახსოვრობიდან...  
შენ უკვდავი ხარ! მე მოკვდავმა შენით გზნებულმა,  
ჩაგიარე და ვით არ გასახო გაკვირვებულმა...

ფრიდონ ხალვაში  
(1925-2010)

ტაო

*ჯანსუღ ღვინჯილიას*

ტკივილით ვტირი ბოლო კურცხლამდე,  
ავსულს კი, რაგინდ მკლას და მედავოს,  
არ ვარ მხედარი, მაგრამ ვუცხადებ \_  
ვერ მივატოვებ მაინც მე ტაოს.

ვინ თქვა \_ იწყება იქ დასასრული, \_  
ვუვლი სიყვარულს შეუდარებელს,  
ზღუდე-შრეებით შუბლდამაშრული  
მიწა შვილს შველას მემუდარება.

რა ვქნა, ხანდახან მაინც დავენდე  
ჩემი ნატყვიარ სიტყვის მკეტავებს,  
მაგრამ ნუ სჯერათ, ბოლოს არ ვეტყვი,  
ვერ დავივიწყებ მაინც მე ტაოს.

შენ კი, მოდარდევ, თანამოკალმევ,  
თუმც ვერ ვადარებთ დღეის ტაროსებს,  
სანამ დარდები მთლად არ მომკლავენ,  
მითხარი მაინც რამე ტაოზე.



## გიორგი ხუბაშვილი

(1925-2014)

### ქართველი ებრაელი ქალი ჯვრის მონასტერში

ვერ დაგინახე, კედელს გოდების  
როცა მთრთოლარე ხელი შეახე,  
არ ვიცი მაშინ ვინ მოგაგონდა,  
თუ შემოგესმა ხმა მაშიახის?  
ან ქვებს, ოდესღაც ფეხქვეშ გათელილს  
როგორ გაუღე გული სახატედ,  
ვისთვის დაანთე თაფლის სანთელი  
და თავდახრილმა რა შელადადე.  
რადგან მიდიან ქალნი მარტონი  
ბეთ ჰა მიქდაშის მაღალ კედელთან  
და გულსავსეთა კრძალვით და თრთოლვით  
ჰგებებს მიგება მისაგებელთა.  
მე დაგინახე, როგორ შეხვედი  
ჯვრის მონასტერში შენ თავდახრილი,  
და რა იხილე ხელის შეხებით,  
გაბრწყინებული უფლის სახლივით.  
როცა გაიღო მძიმე ურდული,  
თითქოს დუმილში ითქვა უთქმელი,  
რატომ ათრთოლდი, რა უჩურჩულე  
იდუმალ ფრესკას შოთა რუსთველის?  
საიდან მოგწვდა თვალი ღვთიური,  
თუ ანგელოსთა თვალის შევლება,  
რადაც ძვირფასი და მშობლიური  
უცებ მოადგა თვალებს ცრემლებად.  
რადაც განედლდა შენში ვაზივით,  
წამი შეიქნა უდიადესად  
და სათნოების შუქით ავსილი  
სანთელს უნთებდი თითქოს ნათესავს.  
იქნებ იმ წუთში ასე საოცრად  
ფრთები შეისხა შენმა ოცნებამ  
და იხსენებდი ვეფხისტყაოსანს,

გულმხურვალეებით ნათქვამ ლოცვებად.  
გესმოდა ხმები იქ მოარული,  
როგორც გუმბათქვეშ ფრენა ფრინველთა,  
ტიროდი დარდით და სიხარულით  
და არ იცოდი, რა გატირებდა.  
შენ იმ წუთს რაღაც დიდი შესძელი  
თითქოს გამოხველ უკვდავ შუქიდან,  
შემოგყურებდა ბერი ბერძენი  
და შენს თვალებზე ცრემლი უკვირდა.

თამაზ ჩხენკელი  
(1927-2010)

## ბაგრატის ტაძარი

და თითქო ბნელში გადაიძრა შუბლი ქართული,  
ქვად გაიკვეთა ფიქრი მთებად გადანაძარი,  
იქ ხომ ტაძარი იყო შავი და შემართული,  
დიდი ბაგრატის უკვდავი და მშვიდი ტაძარი.  
იყო ტაძარი ატირებულ სილამაზისა,  
იყო გუმბათი, გუმბათი ხომ მუზარადია,  
როდესაც ხევებს გაახელებს შმაგი ფაზისი,  
როდესაც მთებზე დალეწილი წლები ადიან.  
აკივლდებიან კაეშანით ტაძრის სვეტები,  
ცივი ლოდები ალბათ ლოცვას ელოდებიან.  
იყო ტაძარი სისათუთით და გამეტებით,  
იყო ტაძარი, მაგრამ ხავსი არ მოსდებია.  
ქუთათურ ქუჩებს აიწევდი მწვანე უბიდან,  
ქუთათურ ქუჩებს სიჩაუქე შენი ანაზე,  
ბინდის დოღბანდით მთებს რომ გული გადაუბინდა,  
მშვიდი ტაძარი იძინებდი ქვათა ნანაზე.  
და ირწეოდნენ ჩუქურთმები აწნულ თმებივით,  
ვაზის ფოთლებად ითლებოდა რთველი ლოდების,  
იყო ტაძარი, იყო თითქო გამუდმებივად,  
იყო ტაძარი ატირებულ ქვათა გოდებით.  
მაგრამ სიშავედ გაიშალა მისი მშვენება,  
დიდო ტაძარო, რაოდემდის უნდა იგრგვინო,  
დარჩნენ ქუჩები ქუთათური უცხო ჩვენებით...  
არის ქალაქი უნაზესი და უგვირგვინო.

## შოთა ჩანტლაძე (1928-1968)

### აქ ერთ დროს

აქ ერთ დროს რეკავდნენ ზარები თამამი  
და თითქოს დიდებას ამბობდნენ ღმერთების,  
აქ ერთ დროს ილოცდნენ წმინდანი მამანი  
და ბოლოს დასტოვეს მონასტრის კედლები.

და ბოლოს დასტოვეს მონასტრის არენი \_  
სიკვდილის ჟამმა თუ დარეკა,  
ქარსა და ქვიშაზე უმიზნოდ ნარენი,  
ქარმა და ქვიშამვე წალეკა.

დაინგრა მონასტრის ზეცა და გუმბათი,  
დაინგრა კარები აღსავლის,  
დადუმდნენ ზარები და დუმილს უმატეს  
და ხმა არ ისმოდა არსაით.

წავიდა წვიმა და მოვიდნენ ქარები,  
წვიმები, ქარები მესაედ,  
ციოდა მარიამს და დედის მკლავებში  
ციოდა პატარა იესოს.

## ნოდარ დუმბაძე

(1928-1984)

### ეკლესია

რაზე ფიქრობ, მითხარ, რაზე, ასე დიდხანს.  
რად წახრილხარ, ყავარჯენი ხომ არ გინდა,  
არც სამრეკლო ზარის ხმაზე სულს არ ითქვამს...  
ნინო წმინდა...

რა უყავი ის სამრეკლო, ან ზარები,  
ო, იმ ზარებს თქმა თუ სურდათ კიდევ რამის,  
და ზარები ისევ აღარ ზანზარებენ,  
სდუმს ივერის მარიამი.

არც მე მესმის, რად დადუმდი მლოცველისთვის,  
კვლავ ცრემლი გდის დახავსებულ კედლებიანს,  
მაინც მოვალ და ორთავეს ცოდვებისთვის  
მუხლთ მოგიყრი, ეკლესია.

“შეუნდო”, წარსულში თუ გითქვამს ასე,  
აღაღადდი, აღსარება მაინც მინდა,  
ო, სადა ხარ, გეამბორო ვაზის ჯვარზე,  
ნინო წმინდა.

ამ საფლავებს რომ დასცქერი შუბლშეკრული,  
ჯვრებამოჩრილს, გადაბარდულს, ეკლებიანს,  
შავ ფიქრებში ყორანივით შერუჯული  
ჩამარხულხარ, ეკლესიავ.

ან რას იზამ, დაიქანცე,  
გადადექი ამ ცხოვრების შარაგზიდან,  
დაავიწყდათ ღვთისმშობელი მარიამი,  
იესო და ნინო წმინდა.

გიგა (გიორგი) სხირტლაძე  
(1928-2005)

ბარაკონისა და მინდა ციხის სახელდება

ბრძენთა ბრძნულად დაიძიეს:  
საბაროცა, სამთოცა,  
მიუკმეის საკმეველი  
საჯვარეს და სალოცავს.  
ჰა სავანეც საამური,  
ოდით ნახულ განაგონი  
და ცივ ჩქერში დალალს იბანს  
ფრთახატულა ბარაკონი.  
მის სადარი სხვა სად იყო,  
ზღუდე მისი ზღაპარ იყო:  
უფრო ნაზი და ლამაზი  
ასი, ასი ას-ლამაზი \_  
არ ენახა არვის არსა,  
არც მთა კორტოხს და არც ცასა \_  
ზე ციხე და ბარს ტაძარი,  
ფირუზი და მინანქარი.  
ქონგურს მოდგა ცისარტყელა,  
ლალისა და ძოწის ფერად,  
განთიადი მწვერვალს დარჩა,  
ცა და ხმელი გადაფარჩა.  
ციხე ტაძრის წმინდა ფუძეს,  
ბულბულ-იადონის ბუდეს:  
აღაშენეს სალოცავი  
საარაკო საოცარი,  
მოიხიბლა მუნ ცა წმინდა  
საჯალაზოც ციხეც მინდა,  
აღადღადა ჯვარ-სანთელი  
ლაყვარდი და ლალის ფერი,  
ნეტარ ციხე და ტაძარი,  
ედემს შინა სიო წყნარი:  
ბულბულით და იადონით  
სავსე არის ბარაკონი...

## შოთა ნიშნიანიძე

(1929-1999)

### ციხე-ტაძართა საგალობელი

ნეტა ამ ხედებს ქვეყანაზე რა შეედრება \_  
ციხე-ტაძრები ცად ასულან ლოცვა-ვედრებად.  
წევს ვეფხვის ტყავზე საქართველო \_ მზისწილხვდომილი,  
თავს დასდგომია იალბუზი ხელაპყრობილი.  
თითქო ლოცულობს, ცად აღავლენს ხმათა ხავერდებს  
და საქართველოს დღეგრძელობას გამჩენს ავედრებს.  
თრთის ვენახები... თრთის ყანები... თრთის გალავნები...  
თრთის საფლავები წმინდანების და ფალავნების...

### II

ზოგი ციხეა შეკვივლება, ზოგი \_ გაფრენა,  
ზოგს აუშვია ხომალდივით ნისლი აფრებად.  
ზოგი მუშტია, მუქარაა, ზოგი გინება,  
ალაყაფებით, ქონგურებით რომ იკბინება!  
ზოგი ამაყი ლილეოა, ზოგი გასროლა,  
ზოგიც შორიდან ცის და მიწის მოჩანს სასწორად.  
წლებმა იხუვლა, იხვართქლა და ციხეს შეება:  
ხავსად, დუმილად, ჭილყვავებად და ბუდეებად.  
თითონაც მთელი საქართველო ერთი ციხეა,  
დაგილეწია, მტერო, მაგრამ ვერ აგიღია.

### III

დიდება თქვენდა, თოროსანო ბერო მამებო,  
თქვენ შეგინახავთ ენა, რჯული, ერი, სამეფო,  
წიგნებს უსხედხართ... ვენახდება ფოლიანტები,  
და, საქართველოვ, სულს იკაჟებ, გოლიათდები!  
ვინაც ააგო ნიკორწმინდა, სვეტიცხოველი,  
დიდება მის ლანდს, მე არა ვარ მეტის მთხოველი.  
კურთხეულ იყოს, ვინც განსჭვრიტა კლდეში ვარძია,  
სულით განათლდეს, ვინც აკვანი მისი არწია.  
ვინაც პირველად დაიმღერა “ვეფხვი და მოყმე”,

იმ გუთნისდედას მზადა ვარ ვეყმო!  
კირითხურონო, კალატონო, ოსტატ-შეგირდნო,  
თუ სადმე რამე ცოდვა გქონდეთ \_ ღმერთმა შეგინდოთ!

#### IV

ო, ციხის ლოდო, ჩამოშლილო, ჩამომსხვრეულო \_  
შენ, ძვალო ჩემო, გატანჯულო ჩემო სხეულო.  
ო, გოდოლ-ბურჯნო, გალავნებო, ნაგებო მკვრივად,  
ნაზხარი რაა, ყველა თქვენი ნაკაწრიც მტკივა.  
გამისკდეს მიწა, თუ შეგბღალო, თუ გივერაგო \_  
შენ \_ საქართველოს ფარ-აბჯარო, ჯაჭვის პერანგო.  
ეჭვი, სიმღერით ყელს ილადრავს შენი მგოსანი,  
ვაზით და ფრესკით ჩემი მხარე მარად იცნობა  
და საქართველოს ციხეებზე მზის შუბოსანი  
დგას მეციხოვნედ მარადისობა!..



მუხრან მაჭავარიანი  
(1929-2010)

## საქართველო და უსვეტიცხოვლო?!

სვეტიცხოველი  
ნუთუ მართლა არ იყო ერთდროს?!  
“ \_ ჰე, ღმერთო, \_ ერთო!” \_  
ნუთუ მართლა არ ჟღერდა ერთდროს?!  
მემატიანეს ვენდოთ?!

საქართველო და, \_  
უსვეტიცხოვლო?!  
საქართველო და, \_  
უალავერდო?!

საქართველოა,  
რა საქართველო?! \_  
უსვეტიცხოვლო,  
უგელათო,  
უალავერდო?!

არყოფილს ერთდროს  
არ აცდება არყოფნა თუკი! \_  
ვით ბრძანებს ანი,  
ლაპარაკობს როგორც მარდუკი.  
ერთხელ რომ იდგა, \_  
იხელახლებს იმგვარი დრო და...  
სადღაა შენი  
ალავერდი,  
გელათი,  
შოთა!..

სვეტიცხოველი  
ნუთუ აღარ იქნება როსმე?!  
“ \_ ჰე, ღმერთო, \_ ერთო!” \_  
ნუთუ აღარ იჟღერებს როსმე?!

არყოფნის ნუთუ  
არყოფილი მართლაა მოძმე?!  
ეს რომ ასეა,  
მზეა ნუთუ ამისი მოწმე?!

საქართველო და, \_  
უსვეტიცხოვლო?!  
საქართველო და, \_  
უალავერდო?!

საქართველოა,  
რა საქართველო?! \_  
უსვეტიცხოვლო,  
უგელათო,  
უალავერდო?!

სულხან აბდლაძე  
(1930-1988)

## ჯვარი

სიყვარულს რა გააცივებს,  
უფრო მაღალი ვხდები.  
მივდივარ, ჯვარით მაცილებ,  
მოვდივარ, ჯვარით მხვდები.  
კვლავ სიხარულად მანთებს,  
ეგ გათენება დილის.  
ჯვარი ამშვენებს ამ მთებს,  
ჯვარი სწერია თბილისს!

გიორგი კორნაპელი  
(1932-1997)

### ბაგრატის ტაძრის უცნობ მხატვარს

დაესიზმრები გადაღლილ ტაძარს,  
როცა ზამთარი მოაქვთ ლანქერებს,  
პეპლები ნათელ ფრთებს მიაქნევენ.  
მომელანდები ფრთიანი ლომით,  
ზე აფრენილი ცის გასაღებად  
და შეპყრობილი სამშობლოს ზეცა  
ფართქალებს ისევ ტაძრის ბაღებთან.  
დაესიზმრები გადაღლილ ტაძრს.

ნუნუ კერესელიძე  
(1932-2013)

## ნიკორწმინდასთან

ტამარს რომ დამზერს,  
ეს არის სხვა ცა,  
აქ არ ივიწყებ,  
რომ არის სხვაცა...  
არ ხარ მარტო შენ  
შორ ჩუქურთმაში.  
შვება შუმერის  
შეკრთა და გიხმობს  
შორი სურნელი.  
და სტირ გათოშილს,  
გაყინულ გულებს  
და ცრემლს გიწუნებს  
შენი მხლებელი –  
თოვლი თებერვლის.

თამარ ერისთავი  
(1932-2014)

## ამაღლება

*დროდადრო, წყლის დონის კლებისას,  
ჯვარი პატიოსანი ისევ ჩნდება სამზეოზე,  
კლდის საძირკველზე მყარად მდგარი და  
ქვისპერანგშემოტმასნილი. მაშინ სასწაულით  
იმედმოცემული მრევლი სალოცავად მიაშურებს მას.*

ქვის პერანგმოსილო,  
უფლისმადლმოსილო  
ჯვარპატიოსანო,  
შენ, ქრისტეს სახლო და  
მართალთა სავანევ,  
სულეთის მგოსანო!  
შენ აღჩნდი ხელახლა  
მტკიცე და ურღვევი,  
მძლეველი მორევთა,  
ხარ შენი ნათელით  
წაღმა გამნათვლელი  
კაცთა, ძალმომრეთა.

მყარია ეგ შენი  
ქვითვირის დულაზი,  
ვით ფუძე ქართველთა,  
ეგ მტკიცედ დგომა და  
ეგ ტანჯვა შეგშვენის,  
დიდ ძალას ამხელ და  
მაგ შენი სხეულით  
ფრთებშემომსხვრეული  
იმედი გამთელდა.

თუმცა გაფაციცებით  
სხვისკენ ვიმზირებით,  
გაივსო ქვეყანა  
ცბიერი გზირებით,  
შენებრ შევეზრდებით  
სამშობლოს მიწას და  
სამყაროს მორევში  
არ ჩავიძირებით.

**ოთარ ჭილაძე**  
(1933-2009)

### **როდესაც ასე ახლოა გრემი**

როდესაც ასე ახლოა გრემი,  
მეც მინდა ვიყო უფრო მაღალი,  
რომ დაინახონ ჩემში ან ჩემით  
რადაც ახალი, სულმთლად ახალი.

და თუმცა გრემი არის ბებერი,  
არის დაღლილი და დანგრეული,  
მე მაინც მამღვრევს ეს სექტემბერი,  
როგორც საყვარელ ქალის სხეული.

მე მაინც კეთილ ფიქრებით მავსებს  
სახეგაპოზილ კედლის აღმური  
და უკვე ვიცი, რად მიყვარს ასე  
ვაზიც, ჩუქურთმაც და სალამურიც.

მე ყველაფერი მომწონს და მიყვარს,  
მე ყველაფერი მგონია ჩემი,  
როდესაც ასე ახლოა გრემი,  
როდესაც ასე ახლოა გრემი!

## ზურაბ გორგილაძე (1937-2006)

### სხალთის ტაძარი

უთოვლოდ თეთრი  
და თოვლზე თეთრი,  
თეთრათის თეთრი ნისლეზის ხვედრი,  
დაბინდულ მთების გალობა ერთი  
და კლარჯულ ვაზის ნაზი ხანძარი,  
დგას და სისხლიან დიდებას ერთვის,  
სხალთის ტაძარი, სხალთის ტაძარი.

ცას შეტყორცნილი ოცნების ყელი  
გუმბათი, – ურჯი ლერწამის ღერი,  
რომელიც კვნესის, რომელიც მღერის,  
ქარში გაძენძილ ზარის ბაწარით,  
დგას და საყვარელ მომკითხავს ელის  
სხალთის ტაძარი, სხალთის ტაძარი.

გენიის სულით ნაწეწი ქვები,  
ჩიტის ნისკარტით ნაქარგი ქვები,  
ქვებზე მტევნების ცისფერი ჩხები  
და ყველა განძი, ჩემში რაც არი,  
დგას მთების რწმენა და რჯული მთების  
სხალთის ტაძარი, სხალთის ტაძარი.  
ჟრჟოლას ჩვეული ჩანგების ღირსი,  
ჩაღმა ჩაყრილი ვენახის ღირსი,  
მზით დაბზარული დირენი მისი  
და მისი ჯავრის ცხელი ნაცარი,  
დგას და მშობლიურ ქუხილებს უსმენს,  
სხალთის ტაძარი, სხალთის ტაძარი.



თემო ჯაფარიძე  
(1937-2012)

## ეკლესია

მიტოვებული და მოწყენილი  
დგას ეკლესია სოფლის ბოლოში.  
ეკლესია დგას, როგორც დევნილი  
კაცი იდგება სხვის სამშობლოში.  
ის ნაღვლიანად გაჰყურებს შარას,  
შარას, რომელიც სოფლისკენ მიდის.  
საყვედური თუ ვერ დაუფარავს,  
დანაშაული არ არის დიდი.  
ის ხომ ლამაზი არის ძალიან  
და საყვედურსაც იმიტომ ავლენს,  
სილამაზისთვის რომ არ სცალიათ  
გზაზე პირქუშად მიმავალ მგზავრებს.

მერაბ კოსტავა  
(1939-1989)

\* \* \*

ვინ დაგაქარგა ეგ ზედაზენი,  
ვინ დაგაქსოვა ეგ მცხეთის ჯვარი,  
რა სიწმინდენი, რა სინაზენი,  
ცით მობერილი ოცნების ქარი.

ზვიად გამსახურდია  
(1939-1993)

## წრომი

ძვლები ღალადებენ წრომში,  
გმინავს წარმავლობის ქარი,  
წლებთან და ქარებთან ომში  
ლავეგარდანს დაეტყო ბზარი,

დრომ სივრცემორეულ გუმბათს  
და ბჭეს გადმოხედა წყრომით,  
ლაჟვარდს ითოვს იაგუნდად  
და მზეს აგალობებს წრომი.

ზარები ესიზმრება წრომს  
და ზღვა ღალადთა  
ხანაც ესიზმრება რომ  
საიქიოს დაღამდა,

წირვათა კურთხეულ ალში  
დნება ცვილივით,  
ჩუქურთმის კოკრებს გაშლის  
ხილვის ყვავილებად.

მწუხრს მწუხარება ახლავს,  
სულს ეპარება ცოცვით,  
ცა დროთა ნახმლევს  
იშუშებს ლოცვით,

ხანაც იპყრობს ნაღველი  
მთაზე ნისლად მდგომი  
და მრავლის მნახველი  
ჩუმად სტირის წრომი.

წლები ჩამიწებულა წრომში,  
წრომი ქვით ნაგები ემბაზი  
წარმავლობის სიმწარეში  
ფიქრობს სამებაზე.

არჩილ ფირცხალავა  
(1944-1986)

## გაუქმებული სამრეკლოები

გაუქმებული სამრეკლოები  
თავს მახსენებენ  
და ვით მეგობარს  
მეფერებიან მუქი ჩრდილებით.

გაუქმებული სამრეკლოები  
თვალს მისველებენ  
ცისფერ ცრემლებით...  
თვალს მისველებენ  
ცისფერ ცრემლებით და  
შუა სულში მაკვირდებიან.

შუკას მიჰყვება სახრიანი  
სოფლელი ბიჭი,  
მიდენის თხებს და  
უდარდელად ღიღინებს ისე,  
თითქოს ამ ქვეყნად,  
თითქოს ამ ქვეყნად  
ბედნიერია ყველაზე მეტად.

და ღმერთებივით დავიწყებულ  
სიკვდილის ლანდებს  
აღარაფერი შეეძლოთ თითქოს...  
შუკას მიჰყვება სახრიანი  
სოფლელი ბიჭი,  
მე გაუქმებულ სამრეკლოთა  
ფიქრებზე ვფიქრობ.

## ლაშა გახარია

(1947-2004)

### ჯვარი

*პასუხად კითხვაზე:*

*– ვინ ააგო მცხეთის ჯვარი?...*

ცას შეაშენეს ღვთიური ჯვარი,  
ჯვართამაღლება ასრე იადრეს,  
შემომშვენეს აზმით ტაძარი  
და სათნოება დააბინადრეს...  
სული მოითქვეს საწუთროს ჩრდილში  
და თქვეს: \_ აწ სისხლმან შორს იმახველოს!..  
მერმე წამოდგნენ და ტაძრის შიშით  
წაწყნარდნენ უხმოდ და უსახელოდ.  
საით წავიდნენ კირითხურონი,  
თვალსაშურონი შორად ჰპოვეს, რა...  
ან ხეკორძულა თუ შეასხურეს  
ამ ოფლით ნაწერ უფლის პოემას?..  
რა ამაოა ოსტატის რწმენა.. .  
ვინ იყავ, ქვით რომ წერა-მწერლობდი,  
ვით დადგი მთაზე მთად \_ ბედისწერა \_  
ამთავრებული ცისკენწეროთი?!..

## თამაზ ბაძალა

(1959-1987)

### მარტვილის მონასტერთან

მე აქ ყოველთვის მახსენდება წმინდა მამები,  
მათი ხელები \_ ვით სანთლის შუქი  
სულის შებერვით რომ ირხევინან,  
მათი ლოცვები \_  
არაფერსა და არაფერს შორის  
გაჩენილი მყარი სითეთრე,  
მათი სიტყვები \_ სივრცის გარეთ,  
ალუბლების, ხიფათის და სიკვდილის გარეთ,  
სჯეროდათ იმათ, რომ განუწყვეტლივ  
საკუთარი თავის ირგვლივ ტრიალი  
იმ სპირალის ხვეულია,  
რომლის ბოლო ღვთის უძლეველ შუქში შეგიყვანს.  
ისინი ბიბლიური ფრინველებივით  
დაფარფატებდნენ მდუმარ ეზოში  
თეთრი კირივით შეფრქვეულნი მონასტრის კედლებს.  
მე მახსენდება მათი თვალები \_  
ამაოების უფსკრულები,  
რომლის კიდეზე  
ნევროზით მთრთოლავ ჩემს გულს ვდებდი და ვმშვიდდებოდი.  
მე მახსენდება მათი წმინდა ლიტურგიები,  
მათი ჰიმნივით მაღალი შუბლები,  
მზის სიფრიფანა შუქზე, ცაცხვის ტკბილ სიგრილეში,..  
მე აქ ყოველთვის მახსენდება წმინდა მამები,  
თუმცა ისინი არასოდეს აქ არ მინახავს...

კოტე კაკიტაძე  
(1959-2010)

## შეხმიანება ოშკს (მანიშნე მაინც)

შენს ბებერ კედელს,  
შენს ჩუქურთმას,  
ჩემგან უნახავს,  
რამე სათქმელი ჩემთვის ხომ არ გადაუნახავს?  
შენს ნაბზარებში ხომ არსად დევს ძველი წერილი?  
წერის არმცოდნის, თუმცა სუფთად გადაწერილი.  
და იმ წერილში ხომ არ მთხოვენ კირის დაცილვას?  
რა მეკირე ვარ?  
არ მოუკლავს კაცი დაცივნას!  
იქნებ უჩემოდ ვერ გამოწვეს კარგად კრამიტი,  
ან მთლელმა ქვისამ ვერ გააპო ზუსტად გრანიტი.  
იქნება მნათემ არ აანთო გულით სანთელი,  
ანდა სანთელი გახდა ისევ ჩამოსაქნელი.  
უადგილოა ახლა, მართლაც, ჩემი დანდობა,  
მაგრამ დარდისთვის წამალია სხვისთვის განდობა.  
მანიშნე მაინც, შენს ჩუქურთმას, ჩემგან უნახავს,  
ერთი ტკივილი ჩემთვის ხომ არ გადაუნახავს?

## ჯანსუღ ჩარკვიანი

### ბეთანია

*“ბეთანია \_ სახლი სათნოებისა და სახლი  
მორჩილებისა და სახლი დიდებისა”.*

*საბა*

შენ არ გინახავს ჩემი ხელები,  
ჩემი თვალები და ჩემი მხრები, \_  
გადარეული თეთრი ცხენებით  
და შორეული ზარების ხმებით.  
შენ არ გინახავს ჩემი ნისლები,  
მთიდან ქორების ფრთით მოტანილი,  
თეთრი ქარებით როგორ ივსება  
დღეები ლურჯი, ქრისტეს ტანივით.  
შენ არ გინახავს ფრესკის სიშორე,  
ფერი ფასკუნჯის, ფერი ქედნების,  
მირონის სურნელს როგორ იშრობენ  
ჩემი სხეულის ძველი კედლები.  
შენ არ გინახავს, მოდი და მნახე,  
რომ ეს ტაძარი ჩემი ტანია...  
სათნოებისა ვარ შენი სახლი,  
მორჩილებისა ვარ შენი სახლი,  
შენი სხეულის ვარ ბეთანია!..



## ვანო ჩხიკვაძე

### სვეტიცხოველთან

ძველ სამრეკლოში ქარი ხმაურით  
კითხულობს გაბმით ფიფქის სტრიქონებს.  
მიტხარი, ღმერთო,  
ეს სასწაული,  
როდის ან ვისთვის გამოიგონე.

კიპარისები თავს რომ დახრიან,  
შენდობას გთხოვენ ყველას მაგიერ,  
ათოვს სამთავროს,  
ათოვს მაცვლიანს,  
ათოვს შენს საფლავს, მამა გაბრიელ.

თეთრი თოკები ცამდე ასული,  
ქარაშოტების მიმოქროლვაში,  
სარწმუნოების ასომთავრული \_  
გარინდებულა ჯვარი თოვაში.

ბარდნის ღიმილი ზეციურ მრევლის,  
მომნუსხავს ტაძრის ყელმოდერება.  
ეშვება ციდან ოსტატის ხელი  
და სვეტიცხოვლის მხრებს ეფერება.

## დავით წერედიანი

### კვირიკე

– შეკრთა, გაიპო, გაბრწყინდა, თვალთ მეხილება, დედავ,  
მტრედისფერ საგალობლებში წმინდა კვირიკეს ვხედავ!  
რა ლამაზია კვირიკე, ცრემლის ნათელში მდგარი!  
როგორც ნიავის ალერსი, როგორც ჩონგურის ლარი!  
ყვავილთა ყველა გვირგვინი, ყველა გაწვდილი ხელი,  
ყველა ხმა, ყველა სანთელი თავის სასწაულს ელის,  
სალბუნსა სასოებისა, ვარდის სურნელში ნაზელს.  
ნეტავი მაცნედ მატარა, შენგან დასავლელ გზაზე...  
ყველა სენს კურნავს კვირიკე, ყველა სატკივარს არჩენს,  
ვერ კურნავს გულის სიბრმავეს, ღვთისგან დადებულ სასჯელს.  
ირხევა ცრემლით, იმედით, ნათლით დაწნული ტანი,  
მოდინ ცისადცისადნი, ბორგნეულნი და ბრმანი,  
კაცნი ბოროტად გვემულნი, ქალნი დახშულნი შობად.  
ქიტონის კალთა შემეხო! – მაკურნებელი ქობა!  
გზად შინაბერებს გაუვლის, ყვავილს აჩუქებს თითოს...  
ყველა ჩამქრალი სარკმელი ნეტავ შენს გზაზე იდოს...  
მიდის, საკნებს და სენაკებს მადლის არილით ამკობს,  
უჩინარ საგზალს გვიტოვებს, გაის-ამ-დღემდე სამყოფს.  
წაიღებს ქენჯნის ფორეჯებს, კეთრის, ფილენჯის დაღებს,  
ცისკენ, იქ, სადაც ბეთლემი ვერცხლის კარიბჭეს აღებს,  
მიიტანს, როგორც ხარებას, გზებზე სალმობის ამბავს  
და ხუთი წმინდა ჭრილობა ყველა სნებისგან განბანს...  
სად მიკრთი, ივერთ-ნათელო, მზით, ვარსკვლავებით, მთვარით?  
ნუთუ სიკვდილიც ფუჭია, არსად გვეღება კარი?  
მაინც ზარზმა და გელათი, სამთავისი და მცხეთა,  
ტროპარის ნუსხურ გზაწვრილზე თეთრი მტრედები სხედან.  
ნუ ტირი, ობლის საგზლითაც გავწევთ სამეფო ნადიმს,  
რადგან სიმღერის ბილიკი უფლის წალკოტზე გადის.  
– სუმბულის სურნელს მოვყევით, შენთან მოვიდა კვალი,  
უფლის ლაჟვარდი გვაპკურე, ედემს ნაჟური წყალი...  
რაჟამს დაიწყებს ივლისი ულოს გვირგვინთა ახდას,  
კვლავ უბრუნდება კვირიკე თავის პატარა საყდარს,  
საყდარში კედელს ნოტიოს, სადაც ზეგარდმო ნებით  
დაუკეცია ანგელოზს ნელსევდიანი ფრთები...

## მანანა ჩიტიშვილი

### ლარგვისის მონატრება

ტყისპირს ვერცხლის წყარო ცივი,  
დედის ცრემლებივით წმინდა,  
გზად გულთეთრა მერცხალივით  
მონასტერი ამიფრინდა.

დალეწილი ციხის კარი,  
გაწყვეტილი დროის ბანდი,  
ვაი, რომ ვერ მოგისწარი,  
ვაი, რა დროს დავგვიანდი.

უცხო მზერას ვემალები,  
ჩუმი მონატრებით ვთბები,  
ჩამომსხდარან მწვერვალები,  
როგორც პაპიჩემის ძმები.

აქ მასწავლეს, ვინ და რა ვარ,  
მზე თვალს როგორ უხელს ვარდებს,  
ღმერთო, ოღონდ დაღმა მავალს  
საწუთრო არ გამიმწარდეს.

ვიდრე ძარღვში ფეთქავს სისხლი,  
სხვა სატკივარს აღარ ვჩივი, \_  
ამიფრინეთ კვლავ ლარგვისი  
ცად გულთეთრა მერცხალივით.

## თინათინ მღვდლიაშვილი

### ტაძართა და ვაზთა საგალობელი

ღვთისმშობელო, გვედრები,  
ზეცა გამოადარო...  
ბეწვის ხიდზე საქართველო,  
დიდხანს უნდა ატარო?..  
ეკალბარდით შემოსილა  
სამზეო, საიეთი...  
ბერთა, ბანა, ბეთანია,  
ბუგეული, ბიეთი.  
ღვთისმშობელო, დაგვიბრუნე  
არტანუჯი, ხახული,  
შატბერდი და თუხარისი,  
ტაო \_ ჯერ არნახული!  
ანანურის ძლიერება,  
ალავერდის სიმაღლე,  
ბეშქენ, ბეჟა ოპიზრების  
ჩუქურთმების სილაღე.  
ფანასკერტი, ფიტარეთი,  
ქვათახევი, ქსოვრისი,  
ოშკი, ოთხთა ეკლესია,  
ოპიზა და ოძისი.  
უბისა და უფლისციხე,  
პარხალი და ურბნისი,  
ხოზი, ხირსა, ხორნაბუჯი,  
ხეითი და ხერთვისი.  
ღვთისმშობელო, დაიფარე,  
საქართველო პატარა!  
სამთავისი, სამწევრისი,  
სამშვილდე და საფარა.  
ნიკორწმინდა, ნინოწმინდა,  
მაცხვარიში, მანგლისი,  
ნეკრესი და ყველაწმინდა,  
ლაშთხვერი და ლარგვისი.

შიომღვიმე, შემოქმედი,  
შუამთა და ვარძია,  
ლიხნი, ზარზმა, ზედაზენი,  
ტბეთი, ტბისი, ტანძია,  
ვარციხე და ვაშლოვანი,  
ვაშნარი და ვაჰანი,  
ქურმუხი და ქოლაგირი,  
ხუნანი და ხიხანი.  
შავშეთი და შაშიანი,  
ყინწვისი და ყორნისი,  
ჩაჟაში და ჩაილური,  
ბოდორნა და ბოლნისი.  
ახალდაბა, ახალციხე,  
ნიქოზი და ნუნისი,  
კლდისუბანი, ბერთუბანი,  
რკონი, რუხი, რუისი  
ღმერთო, ალბათ, საქართველოს,  
უფლის მაღლი აწვიმდა! –  
ატენი და ანჩისხატი,  
მეტეხი და მთაწმინდა.  
წინწყარო და წყაროსთავი,  
მრავალწყარო, ოფრეთი,  
ლაილაში, ლელიანი,  
ორბელი და ორბეთი.  
ლალხორი და ლიხაური,  
გომარეთი, გავაზი,  
სარკინეთი, სეფიეთი  
და საყდარი ლამაზი.  
ჯავისთავი, ჯახუნდერი,  
ჯაყის ციხე, ჯავისა...  
წებელდა და წამებული,  
წირქოლი და ძალისა.  
დოლისყანა, ლამისყანა,  
უჯარმა და უდაბნო!  
ნარიყალა, ფერიყალა,  
მოწამეთა – უბადლო!  
ჯგერდა, ჯვარი, ჯიხა, ჯრუჭი,  
ხიხადირი, ხვანჭკარა...  
ჯავახეთი, აფხაზეთი,  
გურია და აჭარა!  
ხევსურეთი, იმერეთი,

კოლხეთი და ლაზეთი!  
გრემი, გაგრა, განთიადი,  
კახი, კეხვი \_ კახეთი!  
ბირთვისი და თარგამისი,  
ღვთისგან ნათავაზები!  
ნაკიფარი, ნარაზენი,  
ნარი, ნადარბაზევი!  
დათუნა და დადაშენი,  
ჰერეთი და მესხეთი!  
ბეჩო, ბზიფი, ბეშთაშენი,  
ბოჭორმა და ბესლეთი.  
თეთრი ციხე, კვარაციხე,  
იყალთო და ჟალეთი,  
ლიახვი და დარიალი,  
ვანთა, ვალე, \_ დვალეთი!  
ოქროს ციხე, ონის ციხე,  
რაჭა, ქართლი, სვანეთი!  
მოხატული საქართველო \_  
ფუნჯით და სავანეთი!  
ელიაზე \_ ოქროს გედი,  
ახდენილი ზმანება...  
ანგელოზის ფრთებზე მდგარი  
საოცარი სამება.  
სიონი და ჯვარისმამა,  
პირიმზე და ლაშარი...  
მოირწევა ქართველის გზებზე  
ვაზთა დიდი ლაშქარი!..  
ღმერთო, თითქოს საქართველო  
ვაზის მადლით აფერე, \_  
ოქონა და ოქროულა,  
ოცხანური საფერე.  
გომის თეთრი, გორგოული,  
შავი განახარული,  
დიდშავა და მტევანდიდი,  
ქართლის დანახარული.  
თავცეცხლა და თავწითელა,  
შავი არაბეული,  
დევისთვალა, ჩიტისთვალა,  
თეთრა, ნაფარეული.  
ხარისთვალა მესხური და  
ხარისთვალა კახური...

გრძელმტევანა, დიდმტევანა,  
შავი გაბეხაური.  
შავბარდა და შავყურძენა,  
მტრედისფერა, მასისა...  
ვარდისფერად დააფერა  
აფხაზური \_ აისმა.  
მალღარი და მადრანული,  
გორულა და განჯური,  
ჩხავერი და ოჩხამური,  
კრახუნა და კლარჯული.  
ოჯალეში, ორბელური,  
ციცქა, ცოლიკოური,  
ალმურა და ანდრეული  
და ალექსანდროული.  
ხულოს კალთებს შეფენილი  
თეთრი ჯავახეთურა...  
შავშურა და შავჩხავერა,  
ხიხვი და ხოტეურა.  
ვარდისფერი პირღებულა  
და რაბათის წითელი...  
საკმიელა, საირმულა,  
რცხილი და რქაწითელი.  
ტყის ვაზი და ტყის ყურძენა, \_  
მზესთან გადახლართული!..  
საადრეო ქართული და,  
ქართულა და ქართლული.  
ჭიპაკური, ჭეჭიბერა,  
თეთრი ათინაური,  
ცანაფითა, ცივჩხავერა  
და ცრუ ცოლიკოური.  
ანგელოზნო, დაიფარეთ,  
ვაზთა დასავანეთი!..  
მუკუზანი, წინანდალი,  
ხვანჭკარა და ჰერეთი!  
წნორის თეთრი, წმინდა თეთრი,  
ჩაკმაშურა, ჩეჩქიში...  
ჩხაბერძულა, ჩხინკოური,  
ჩერგვალი და ჩიჩკიში.  
მუხიშხა და მუხა მწვანე, \_  
მზის სარკმელში მზინავი...  
ადრეულა მცვივანი და

იმერული მცვივანი.  
სირგულა და სუფრის თეთრი  
და სიმონასეული,  
მეჯვრისხევის საფერავი  
და თვალდამწვრისეული.  
უგვარო და უსახელო  
შავ-წითელა ვაზები...  
თეთრა ღვინით ავსებულნი  
ქვევრები და თასები.  
კაპისტონი \_ გაღმორი,  
კაპისტონი \_ მეგრული...  
ღრუბელა და ღვინის თეთრა,  
და მანავი \_ მეფური!  
იორი და ალაზანი,  
ვაზით მიმოხატული!  
ალავერდი, ახაშენი,  
ტვიში, ალადასტური!  
ვაზისუბნის წითელი და  
თეთრი ვაზისუბანი,  
კარდანახის წარაფი და  
ღვინო \_ ვარდისუბანის...  
ვაციწვერა, ვარდისფერა,  
ვაიო და ვერნახი,  
მსხვილთვალა და ყორნისთვალა  
და მამუკას ვენახი.  
სამაჭრო და საბატონო, \_  
ზვრებად გადაჭიმული...  
ფართალა და ფეროვანი  
და არაგვისპირული.  
მაგარა და მისკიეთა,  
თეთრი მეგრელაური...  
ქველოური, ქაქუთერა, \_  
დიდი ქინძმარაული!  
მწვანე ვაზი \_ ათასგვარი,  
ხოფათური, ხითერი,  
ნათელა და ნაშენება,  
წითელი და ყვითელი...  
ბუერა და კახის თეთრა,  
ჯანი, მირზაანული,  
ფითრა, ქისი, ფერუანი,  
მარჯენი და მაური.



ციმციმებენ, ციმციმებენ  
ქარვისფერი ჭალები,  
ვაზის ცრემლით შევსებული  
დოქები და ჯამები.  
მზის სხივებით დასიცხული  
ჭურები და მარნები,  
ოქროსფერი ვენახები, \_  
ხელით საგოგმანები.  
ჩათაფლული კალათები,  
ნამიანი მარცვლები,  
მინდვრები და წარაფები,  
ოდები და ფაცხები.  
საწნახელში ლივლივებენ  
ჩემი ურჩი ვაზები:  
ლეჩხუმური აფხაზურა,  
ჯვარი და გავაზები!  
და ბობოქრობს ოჯალეში, \_  
ღვინო დამატრობელი,  
იწურება საღვთო ქვევრში  
ვაზთა საგალობელი!..  
თითქოს მღერის საქართველო,  
ვაზით შემოჯარული! \_  
ჩაკრულო და ზამთარია,  
მოხევური ჯვარული.  
ხორუმი და განდაგანა,  
დავლური და მხედრული,  
საქორწილო კახური და  
საქორწილო მესხური.  
და როკავენ ღვთაებრივი  
ვარდნი და ლოტოსები,  
საოცარი სამაია, \_  
ფრესკის ანგელოზები.  
გუშინ შვიდნი გურჯანელნი,  
საცეკვაო, სუფრული,  
საფანდურო, საფერხულო,  
მაცრული და ურმული.  
თამარ მეფე, თამარ ქალო,  
არალე და არალო,  
წყალს ნაფოტი ჩამოჰქონდა,  
ალილო, არალალო.  
თებრონე მიდის წყალზედა,

ტკბილი ძილისპირული,  
იავნანა, იავნანო,  
ზარი, კალოსპირული.  
დედემ, დედემ, მირანგულა,  
კალოური, კევრული,  
შავლეგო და სისა ტურა,  
ხანჯლური და ფერხული...  
ოროველა, ოროველა,  
დალა, ოქროს დიელო,  
დიდება და დიამბეგო,  
ლაზარე და ლილეო...  
წაიყვანეს თამარ ქალი,  
ჩონგურო და ცანგალა,  
გონაშვილის ბროლის ყელი,  
მთის ჩანჩქერზე ანკარა.  
დიდი ვანოს ხავერდები,  
ბგერა, როგორც ალმასი...  
ნანა, რიხი, ხეურო და  
ქონა, შაშვი ლამაზი.  
წინწყარო და ჯვარის წინა,  
ცირა და კრიმანჭული...  
ნენევ, ნენევ, \_ აჭარული!  
გუდასტვირი \_ რაჭული!  
ჰარალე, ჰარიჰარალო,  
კახის \_ შემოძახილი!  
გრძელი მრავალჯამიერი,  
ქერი \_ ცამდე ახდილი!  
როკავს, როკავს, უძველესი \_  
საზეპურო ქვეყანა...  
შაშვი კაკაბს ექიმპება,  
წყაროს \_ დედას ლევანა.  
ჩემი დიდი საქართველო,  
ნაომარ-ნამეხარი!  
ალაზნის პირს გაყოლილი  
ჩემი შავი მერცხალი.  
ღმერთო, ნუთუ საქართველო  
მომაკვდავი გეგია?!  
ნუთუ აღარ მფარველობენ  
ბეთლემი და ბეგია?..  
ნუთუ სციდან არ ეშვება  
უფლის მადლი მცირედი?

შემოუწყრა ცეცხლის ჯვარი,  
ცუცხვათი და ცხირეთი?  
ღმერთო, თითქოს შეტორტმანდა  
სვეტიცხოვლის სხეული...  
და ბარბაცებს საქართველო \_  
დაჭრილი და სნეული!  
თითქოს ჩასცეს საქართველოს  
ალესილი ბებუთი...  
და ზანზარებს გუდარეხი,  
გერგეტი და გეგუთი!  
და ზანზარებს კაცხის სვეტი,  
კორცხელი და იკორთა,  
და ჭიხვინებს თეთრი ცხენი  
იფრართან და ილორთან!..  
ირწევინ, ირწევინ,  
მთები ათასფერადი!  
და ინგრევა, და ირყევა, \_  
ბაგრატი და გელათი!  
არა, ჩემო საქართველოვ!  
არა, ჩემო მამულო!  
ჩემო იმერ-ამიერო,  
ცრემლით თვალდანამულო!  
ჩემო მზევ და ჩემო მთვარევ,  
ანგელოზის სადარო,  
მიწავ, სისხლით გაპოხილო,  
ქრისტეს კვართზე ნაბარო!  
ვინ თქვა შენი სიკვდილი და  
შენი გადაშენება,  
შენ ხარ უფლის აკვანი და  
დედამიწის მშვენება!  
ალილუია, ალილუია,  
საქართველოს ცისკრებო...  
ამობრწყინდი ზღვის ქაფიდან,  
ხატო \_ განსაცვიფრებო!  
ღვთისმშობელო, გევედრები,  
ზეცა გამოადარო!..  
ბეწვის ხიდზე იბერია,  
დიდხანს უნდა ატარო?..

## ემზარ კვიციანი

\* \* \*

მონასტრის ეზო. კაკლები, ბუჩქები...  
გაუცვლელი და მყუდრო გზები.

ბერების ჭური, ბერების კოდი,  
ერთი კერძი \_ ნაზარდი რკოტი.

ვიწრო სარკმელი და ბნელი თარო,  
კედლები გეტყვის, მოწყენით ხარო.

ერთი იმედი ერთხელ შევლისა...  
სურნელი თაფლის და საკმევლისა.

შავად ფრიალებს კალთები კაბის,  
ზედ შეგრჩენია მდინარის ქაფი.

მონასტრის ეზო. საფლავის ლოდი.  
შენზე ვილოცებ, ოღონდაც მოდი.

## თამაზ ჭილაძე

### ყინწვისი

შენი დაღლილი ღიმილი მაკრთობს,  
გაბმული სევდა ამქვეყნიური,  
ო, ასე ჩუმად და ასე მარტო  
მთებში სხივებზე დნება ყინული.  
მე ვერ მოგიტან რტოს იასამნის  
და ვერც გაზაფხულს ვერ დაგპირდები...  
ჩუმია ზეცა და წვიმასავით  
შუბლს უგრძობენ შენი თითები...

## ტარიელ ჭანტურია

### სამება

გამოჩნდა უცებ ტაძარი \_ ელდა,  
და სივრცე წამსვე დაცარიელდა,  
და დარჩა მხოლოდ ის \_ ერთადერთი! –  
მღუმარე, ბრძენი, მაღალი \_ ღმერთი!

მეცქირა მისთვის, მას კიდევ \_ ჩემთვის!  
მე არაფერი მინდოდა მეტი!

## ზურაბ კუხიანიძე

### კედლები

თუმც დიდხანს დგომის გადუწურავს აწ იმედები,  
დირედაშლილი ვერ შეჰყურებს  
ტატნობს მთებურად,  
მთელი დღე მზეზე თბება ძველი ტაძრის კედლები,  
მთელი დღე ცისკენ მლოცველივით ატოტებულა.

გულში რამდენი ჩაუმარხავს დარდი უთქმელი \_  
დარდი ამ ლოდთა, ამ კედლების ლალა მმოსველი...  
ბელურებს კედლის ჭრილობებში რბილი ბუდენი  
ჩაუფენიათ თურმანიძის მალამოსავით.

ტაძრის კედლები შეჰყურებენ ზეცას ყვედრებით,  
თუმც მუდმივ გუმბათს ნატაძრალი  
ვერ მოიმდურებს...  
და თბება,  
თბება  
დაქცეული ტაძრის კედლები,  
რომ არ შესცივდეთ ღამით ჩიტუნებს.

## ვახტანგ ჯავახიძე

### „სამება“

და როცა \_ მამის მაგიერ \_ მე ძია უნდა მეძია,  
უცებ: ავლაბრის აღმართზე „სამება“ წამომეწია.  
დღეიდან აღარ დავეძებ, ვინ როგორ მომესალმება,  
რაკი ავლაბრის აღმართზე წამომეწია „სამება“.  
შენ გქონდეს შენი ვერსალი, შენ გყავდეს შენი მესია,  
მე უკანასკნელ აღმართზე „სამება“ წამომეწია.

## მარიამ წიკლაური

### მცხეთა

...და მცხეთა, როგორც იოანე,  
უფლისკენ გვიხმობს  
დის მოლოდინით ავსილი მტკვარი.  
აქ მეცხრე ციდან  
სულიწმიდის გადმოდის ძალა  
ნათლის მტრედივით,  
მთის კორტოხზე ღულუნებს ჯვარი.  
წმიდა სამების გაცხადების  
მეგლია თითქოს  
არაგვისა და მტკვრის შესაყარი  
ეჰაა, როდიდან...  
მარადს სიკვდილის სიო დანებდა  
და მეჩვენება,  
სვეტიცხოველი,  
ვით მაცხოვარი,  
დგას ამოსული  
იორდანედან.



## თემურ ჩალაბაშვილი

### ჩემო საქართველოვ, მართლმადიდებელო!

#### ილია II-ს

მუდამ სიყვარულის  
განმადიდებელო,  
ჩემო საქართველოვ,  
მართლმადიდებელო,  
ოშკო და ხახულო,  
ცრემლით ნაფერებო,  
ძუძუს მოწყვეტილო,  
ძმებო, ქართველებო,  
ზეცად აზიდულო  
ჯვარო და სამებავ,  
გვეყო ჩვენთა შვილთა  
უღმერთო წამება...  
მუდამ სათნოების განმადიდებელო,  
აღსდექ, საქართველოვ  
მართლმადიდებელო!  
ო, წმინდა გიორგის  
ხატებავ ნათელო,  
სანთლად დანთებულო  
მომავლის ქართველო!  
...ესე, სიყვარულის  
განმადიდებელო \_  
ჩემო საქართველოვ,  
მართლმადიდებელო!..

## დავით თედორაძე

### ტბეთის ტაძარს

მინდა შენს ქვებს ვეფერო,  
ვაზის ჯვარის სადარო,  
სულის მაცხოვნებელო,  
ტბეთის დიდო ტაძარო.

ღვთაებრივი ფარდავით  
მრევლს ყოველთვის ჰფარავდი,  
ჰქონდათ შენი იმედი  
ერგეს, კირნათს, მარადიდს...

უფლის კვართით დაწინდულ  
საქართველოს შვენოდი,  
წუხდი, ჟამით დაბინდულს  
გარბევდნენ, ვერ გშველოდი.

მითხარ, ვის მოვეფერო,  
მითხარ, ვის გავუჯავრდე,  
აღსდგე, ვთქვათ, გურიიდან,  
ზარზმა-არტანუჯამდე.

საბა ეპისკოპოსის  
ვხედავ დიდ ეპარქიას  
სიზმარში და მივტირი,  
რაც დღემდე დამკარგვია.

ახლა ასე, შორიდან,  
შენს ხატს უნდა ვეფერო,  
სულის მაცხოვნებელო,  
სალოცავო ბებერო.

სალოცავო მზეგრძელო,  
ვაზის ჯვარის სადარო,  
სათნოების მთესველო,  
ტბეთის დიდო ტაძარო.

## ლია ბედოშვილი

### მეტეხის ტაძარს

*სულიერ მამასა და მოძღვარს, მამა აკაკის*

ნაწამებ ტაძარს მეტეხისას  
ვუგალობ გზნებით...  
ეჰა, დიდება შენს სიწმინდეს  
და ძალას ღვთიურს...  
მიწიდან ცამდე ელვარეს  
და ლოცვად აღერილს  
გიმღერებს ლექსი  
პოეტის და მლოცველის შენის...  
წმინდა არს ტინი,  
რომელშიდაც ფესვებგამდგარი  
ბერმუხას ჰგავხარ,  
გადამწვარს და უწყალოდ ნაჩებს,  
მტკვარი წითელი ჩამოივლის,  
ჩამოატარებს  
ქართველთა თავებს,  
იესოსთვის ნაგვემ-ნაწამებს...  
ჯურღმულებიდან ისმის კვნესა  
შეთქმულ ვაჟკაცთა,  
რომელთა გულშიც სიყვარულმა  
საღვთოდ იალა,  
რამდენის ტუჩი გასისხლდა და  
ლოყა გაბაცდა,  
რამდენმა ქალმა უფსკრულისკენ  
ჩაიშრიალა...  
წმინდა არს ყოვლი ქვაკუთხედი  
შენის ტანისა  
და გუმბათს შენსას მზე კი არა,  
ღვთის მადლი დასდის,  
თუმცაღა “ქართლის ცხოვრებაი”  
ისევ განისლდა,  
კვლავაც წყალობით აივსება  
ღვთისმშობლის თასი...  
აქ წყაროც ტირის,

ცრემლებია ჩვენის უფლისა,  
ლოცვად გვემახის მყუდროება  
წმინდა ალაგის,  
დასთმეთ გნისაი ცრუ, ამაო  
წუთისოფლისა,  
დატოვეთ წვირი აღრენილი,  
ავი ქალაქის;  
ემთხვიეთ კედლებს ხავსმოდებულს,  
დაკოჟრილს, დაღლილს,  
ჯვარცმული ღმერთის სისხლი,  
ხორცი გაიზიარეთ.  
გუმბათს ტაძრისას მზე კი არა,  
ღვთის მადლი დასდის,  
ჯერ დაიჩოქეთ ჯვარ-ხატთან და  
მერმე იარეთ!  
ლოცვად გვემახის მყუდროება  
წმინდა ალაგის,  
აქ წყაროც ტირის,  
ცრემლებია ჩვენის უფლისა,  
თავისუფლება ქარვასლების  
ჭუჭყში არა ღირს,  
თავისუფლება ტარებაა  
სადვთო უღლისა!  
და მღერის ყოვლი ქვაკუთხედი  
შენის ტანისა,  
გუმბათს აღერილს  
მზე კი არა,  
ღვთის მადლი დასდის,  
თუმცადა “ქართლის ცხოვრებაი”  
ისევ განისლდა,  
კვლავაც წყალობით აივსება  
ღვთისმშობლის თასი...

## ბაღათერ არაბული

### წულრულაშენი

*წულრულაშენის წინამძღვრის,  
მამა მიქაელის ხსოვნას*

წუხელ მზის ჩასვლას წუხდნენ შაშვეები  
და ბინდში იწვა წულრულაშენი...

წუხელ შაშვეები მზის ჩასვლას წუხდნენ  
და ჭახჭახებდნენ წუხილით წუხელ...

შორს კი, მდუმარე ტყის ბოლოს სიო  
თავზე უვლიდა ბოლნისის სიონს.

და ტაძრის კედლებს სევდით მმოსავი  
ეხვია ხავსი საღამოსავით...

.....  
წუხელ მზის ჩასვლას წუხდნენ შაშვეები  
და ბინდში იწვა წულრულაშენი...

### თემურ შავლაძე

### აგვისტო. თელავი

ახურავს დამის მეწამული აგვისტოს თელავს,  
და თელავს, თელავს, თელავს, თელავს –  
თელავს აგვისტო...

და ელავს, ელავს ალავერდი,  
ალაზნით ღელავს...

სალამი ყველას –  
ვინც არ უნდა გადავივიწყო.

## გვანცა ჯობავა

### ოსანა, სტეფანწმინდას!

ბუმბერაზ მთებზე ავიტანე დაღლილი სხეული,  
ოსანა, სტეფანწმინდას, გერგეთის სამებას!  
თითქოს ბარს შევატოვე გეენა ცეცხლოვანი,  
ოსანა, მაღალთა შინა, ოსანა წამებას  
უფლისათვის, \_ გალობდა ზეცით სტეფანწმინდა.  
ივნისის ჩაჟამებულ თოვლივით შელახული  
სული მომაქვს, უფალო, და შვება მე რად მინდა.  
ციცაბო, ქვა-ღორღიან, ხვატიან სავალზე  
წვალება შემარგე \_ ავსება მე თასიდან,  
რომელიც ჩემამდეც ათასგზის დაღვრილა.

და მათგან “ვისაც სურს თავის სულს გაუფრთხილდეს,  
ის დაკარგავს მას”, \_ თქმულა და წერია.  
და მათგან “ვინც უფლისთვის დაკარგავს სულს,  
ის მოიპოვებს მას”, \_ თქმულა და წერია.

ცოდვების მთელი ძნა გერგეთზე ავიტანე,  
ვდგავარ და მაგონებს ის თვით გეთსიმანიას,  
სამება \_ დაჩოქილ, მლოცველ მაცხოვარს.  
მისთვის დავკარგო სული მე კი ძალიან  
მინდა, თუმც არ ძალმიძს. ვხედავ, რომ აქვია,  
და მაინც ვერ ვხედავ... “ელოი, ელოი,  
ლამა საბაქთანნი?”... და ასე ვეძახი.

ბუმბერაზ მთებზე ავიტანე დღეს ჩემი ჯვარი,  
ოსანა, სტეფანწმინდას, არს ზეცით ვენახი.

## ანდრო ბუაჩიძე

### სამების ტაძარი ჩემი ფანჯრიდან

შუქი მიღელავს თვალის გუგებში  
და ღამის ტეხვა მექცა წამებად,  
და დამრჩა მხოლოდ ერთი ნუგეში –  
განათებული ბნელში სამება.  
და როცა ღამით ნამძინარევი  
მივყვები კედელ-კედელ დერეფანს,  
მინდა მოვსინჯო ბნელში კარები,  
რადგან სიზმარი ცხადში მერევა,  
ხოლო იმ სიზმრად კი მესიზმრება,  
რომ ძირს დაღვრილი შუქი მაშინებს,  
რომ შემოაღეს კარი ხიზნებმა  
და უკვე დგანან დერეფანშივე.  
მე მომლოდინედ ვდგები ახლავე,  
ასე უაზროდ დაგელოდები,  
სადარბაზოში ღამეს ტეხავენ  
გადახლართული კიბეს ლოთები.  
იქნებ ეს დარდი მექცეს ურდულად,  
აღსარების თქმა დამეზარება,  
მე სიზმრის მიღმა ვზვერავე ქურდულად –  
განათებული მოჩანს სამება.  
მე თვითონ ვდგავარ ვით აღსარება,  
და მე თვითონ ვარ ნაიარევი,  
და ისევ ბნელში მოჩანს სამება,  
ისევ ღიაა ჩემი კარები.

## ნუკრი ბერეთელი

### ოშკი

#### გიო არაბულს

ჩვენი კოჭლი ბერიკაცი მომენატრა, ძამულია,  
ალბათ, ყინვა უცახცახებს ჩამორღვეულ ბეჭებს.  
ტაოს კარში, ეს ოხერი, თითქოს ჯაჭვით დაბმულია \_  
ქარი წივის, ქარი ყმუის, ქარი ძვალ-რბილს ღეჭავს.

ცაა უფრო ღრუბლიანი. მხოლოდ შუბლი უბრიალებს.  
ისე ცივად უბრიალებს... დეკემბრის მზე ჩადის.  
ახლა რა დროს მუმლი არი?.. რა დროს ძმებთან შუღლი არი?!  
წმინდა სახეს (შუბლიანად!) აგვიფარეს ჩადრი.

გუმბათიდან განაპირა კრამიტს ფეხი დასცდენია,  
რაც მანდ წვეთი ჩამოჟონავს, ყველა გულზე დამდის.  
მიმწუხრისას ნაფრესკალი ეს კედლებიც ბაცდებიან \_  
აჰა, ჩემი ზაფხულიდან შენახული კადრი.

ჩამომტვრეულ ჩუქურთმასთან ბალახს ღერო მიხმობია  
(ვინ ასწავლა მკურნალობა ბალახებით ტამარს?!).  
აქ არც გზები მემხრობიან, აღარც მთები მემხრობიან.  
ნეტავ, ახლა... ნეტავ, ოშკის ახლა ფერხთით დამსვა!

საკმევლისუნმონატრებულ კედლებს ბზარი ემატება,  
ეს ზამთარიც, ალბათ, კიდევ ერთ ჩუქურთმას მოშლის.  
ლოდზე \_ ბზარი, ბზარში \_ ტოტი, ტოტზე ხავსიც მედარდება,  
ჩვენი ოშკი მენატრება, ჩვენი კოჭლი ოშკი!



## თეიმურაზ აბულაძე

### ზარი

შუალამისას მომესმა ზარი,  
ზარი მომესმა ეკლესიიდან.  
იქ ვიღაც ფხიზლობს, ნეტავი  
შუალამისას იქ ვინ მივიდა?

ვინ შეაწუხა ასე ლოცვებმა,  
ვინ წამოაგდო ფეხზე სიზმრებმა?  
ვის შერჩა კიდევ იმის ოცნება, \_  
გაექცეს ღამის თავდავიწყებას?

...იქნებ მეც მწვავდა ეს ღამე წყნარი  
და სიზმრის ჟრჟოლად ტანში მივლიდა.  
დარეკე ზარი,  
დარეკე ზარი  
მიყრუებული  
ეკლესიიდან!

## შოთა ზოიძე

### სხალთის ტაძარი

#### *მეუფე დიმიტრის*

აჭარის მთებში,  
ამ მაღალ მთებში,  
კიდია, როგორც თვალზე კურცხალი,  
ქარიშხალს ძინავს მის ბებერ ფრთებში  
და წინაპრების სული ცოცხალი \_  
იწვის სანთელი...  
იწვის სანთელი...  
და ხარობს ჩემი სიტყვა ჯანმრთელი,  
თითო სანთელი \_ თითო ქართველი,  
თითო ქართველი \_ თითო სანთელი.  
ყელი მაღალი...  
შუბლი მაღალი...  
ასე ძველი და ასე ახალი...  
განათებული ვერცხლის ჭადართ,  
ბევრის მომსწრე და ბევრის მნახავი.  
სხივი რამდენი...  
ფიქრი რამდენი...  
მწვანე სამოთხის თეთრი ფრინველი...  
ბევრის გამძლე და ბევრის გამდელი...  
ბევრის მომსწრე და ბევრის მხილველი...  
აზრის დამჭერი...  
ფიქრის დამჭერი...  
ხან ფრთათეთრი და ხანაც ფრთაჭრელი,  
ხან ჩემი სულის ერთი ნაჭერი  
და ხანაც ჩემი გულის დამჭრელი.  
სახლი კეთილი...  
არდაკეტილი...  
ერის ქვაბშია გამოკვეთილი,  
ერის ხმაშია გამოკვეთილი,  
სათნოებისა სახლი კეთილი.  
თეთრი სართული...  
ასე ქართული...

ისე წყნარია, ისე მშვიდია,  
რომ ჩუქურთმები ამოხლართული  
ჩიტების ფრთებით ცაში მიდიან.  
ფიქრის მომცველი...  
სევდის მომცველი...  
მაგრამ მაღალი რწმენის მომცემი...  
ცაში მიდიან, როგორც ლოცვები  
და მიცინიან ანგელოსები.  
თეთრი ნისლები...  
თეთრი ფიფქები...  
მზით რომ ივსება მათი ჯიქნები,  
სამარადისოდ ჩემი იქნება  
და არასოდეს არ ჩამიქრება.  
წინაპრის სული ნამამაცარი...  
ის ახლა ჩემი გულისძვრაც არი, \_  
დგას, როგორც თეთრი გედი დამცხრალი \_  
სხალთის ტაძარი...  
სხალთის ტაძარი...

## ლევან ფანჩვიძე

### მზე ამოდის აბეზარა

ცა რიჟრაჟმა გადაწმინდა,  
მზე ამოდის აბეზარა,  
ისეთია ნიკორწმინდა,  
სხვაგან წასვლა დამეზარა.

შენს ჭრილობებს ვერვინ მოთვლის,  
მკერდზე სისხლი დაგდენია.  
როცა ღრუბელს ცრემლი მოსდის,  
იქ მშვენებაც რამდენია.

დამათოვონ ლამაზებმა  
ყვავილები და გამთელონ,  
სიყვარულის დაფასება  
ვიციტ მე და საქართველომ!

დღეებთენდება დარიანი,  
ნისლმა ხევი გადაბინდა.  
ისეთია დარიალი,  
სხვაგან წასვლა აღარ მინდა.

შუბლი ეკალს დაუდაფნავს,  
ცა ცისკრებით ნასერია.  
ნუ დაემებთ შოთას საფლავს,  
ის ამ გულში ასვენია!..

დერბენდიდან ადიღემდი,  
შენ დაცემულს როდი ჰგავდი,  
თბილისს თუ ვერ აგიგებდი  
ხოხობს მაინც მოგიკლავდი!..

## მანია ჯალიაშვილი

### ხანძთა

ის მიტოვებულს ჰგავს მოხუც მამას,  
უძლები შვილის ბედით სნეული,  
მზე რომ ამოვა, ძვლებს მიაფიცხებს  
ხანძთა \_  
ხერხემალგადამსხვრეული.  
სველ ქუთუთოებს ძლივს ასწევს მაღლა  
ფსალმუნთა სიტბოს მონატრებული.  
და დახავსებულ ხმით ღმერთს ადიდებს  
ლოცვებში ჩამდნარ \_ ჩანაცრებული.

### მალხაზ მაჭავარიანი

### უბისა

წინაპრების ლოცვით გამთბარ  
ფრესკებს ვეფერები \_  
ეს კედლები ნაშენია  
რწმენით გათლილ ქვებით...  
და ვფიქრობ, ვერ შეველევ  
აღმშენებელ რწმენას,  
ამ კედლებში მესახება \_  
ჩემი გადარჩენა...

## კობა არაბული

### მე არ მეგონა...

ლიფოდა...

ხადუ...

ხალდე...

ახადი...

მე არ მეგონა თუ აქ გნახავდით \_  
შუმერის ჯვრებო ქვებზე ნახატო!..  
თუ მეყოფოდა პური მცხეთამდე,  
ძველი ღმერთიდან ახალ ღმერთამდე,  
ერთი ნაბიჯი მრჩება ლეთამდე \_  
ახალი დროის საგიჟეთამდე!..

როცა ჟინვანთან წყალზე გადახვალ \_  
მაშინ იფიქრებ \_ ნეტავ სადა ხარ!?  
რომელი ჯვარი ჰქონდა იახსარს \_  
დევის სისხლში რომ არ დაიმარხა...  
გაფიქრებს ქარდუს ქვების დანახვა, \_  
და მუცოს კედლის გვერდზე გადახრა \_  
გატკივებს გულს და ლოცვას განდომებს,  
ეს ქვები სიტყვას აღარ განდობენ...  
ხერთვისის ჭალებს ჟამი გადახნავს \_  
ბედისწერული ძალის თანახმად:  
წყალში ეფლობა ჯვარი ჟინვანის:  
შენი “ნანი” და შენი “ინანი”...  
გვიან მიხვდები \_ როგორ დაგმარხეს(!)  
როცა მიხვდები მერე ინანი...

წინდახუ...

ხალდე...

ხადუ...

ახადი...

ხეთური ჯვრები ქვებზე ნახატი!..  
ეს მოკლე გზაა მცხეთის სახლამდე,  
და ერთი სუნთქვა \_ ქრისტეს კვართამდე!..  
გაფითრებს მცხეთის ჯვარის დანახვა \_  
ანუ \_ ჟრიალი სახვთო სამარხთა...

სიცოცხლის სხივი ორად გაყრილი:  
როგორც ხოგაის \_ მინდის აჩრდილი...

მთებზე ანათებს სული მეოხი \_  
ის საქართველო დავით IV \_ ის!..

## ქეთევან დოლიძე

### ქალწულო მცხეთა

კვართით ორსულო, ღატაკთმსახურო,  
დედაო ქართლის \_ ქალწულო მცხეთა,  
ქეთევანი რომ მოვინახულო,  
ტამარში უნდა მოვიდე დღეს და...  
შემოგიარო... გიგრძნო თითებით,  
მუხლისთავებით უნდა შეგეხო,  
იქნება მითხრა, რატომ ვინთები  
ცისკარზე... ვიცი, უნდა ვიღელვო  
და გამოვისხა რწმენის ნაყოფი,  
რომ წაგახემსო, უხვო... უფალო...  
დამპურებელო ყოფნა-არყოფნის...  
ცრემლით ტერფები შემოგიბანო,  
თმით შეგიმშრალო ზეთი, რომელიც  
სისხლის მდინარედ მომდის გულიდან,  
ახლობელო და მიუწვდომელო,  
მომნატრებია კახიც, გუმისთაც...  
ტაოსკარი და ტბეთი, ოპიზა,  
პარხალი, ოშკი, იშხანი, ბანა...  
ნადარბაზევი თამარ მეფისა,  
წყალმა რომ ბანა და... ვერ გაბანა!..  
ქეთევანი რომ მოვინახულო,  
სვეტიცხოველში მოვრბივარ შენთან...  
კვართით ორსულო, ღატაკთმსახურო,  
დედაო ქართლის \_ ქალწულო მცხეთა!

## შარლოტა კვანტალიანი

### ზარი ბოდბის მონასტერში

მოელემა ბოლო ლოდინს...  
მოელემა ბოლო ლოდინს...  
როდის? როდის? როდის? როდის?  
მდუმარება ლღვება ლოდინს...  
ქრისტე მოდის...  
ქრისტე მოდის...  
ქრისტე მოდის...  
მოდის, მოდის, მოდის, მოდის...  
დროა, “მჭევრმეტყველთა” ბოდვის,  
დროა ფარისეველთ ოდის,  
ჯერ ადრეა... ჯერ ბრბო მოდის,  
აქ ნეტავი რად მოვრბოდი?!  
ნიღბებია შესაზარი,  
წაშლილია ცის საზღვარი,  
სულში სძინავს რწმენის მარცვალს,  
ვიღაც უხილავი მძარცვავს,  
ვდგავარ, როგორც მონა მტვერში...  
ზარი ბოდბის მონასტერში  
იღვიძებს და იწყებს რეკვას,  
გადამიქცევს ვარდად ეკალს,  
ზარო, მინდა მარად რეკდე,  
ანათებდე წმინდა ეკვდერს,  
მათბობს სხივი ღვთიურ ოდის,  
ეს რა ბედი მერგო, ცოდვილს...  
ქრისტე მოდის...  
ქრისტე მოდის...  
ქრისტე მოდის...  
მოდის, მოდის, მოდის, მოდის!...



## რეზო ესაძე

### მიტოვებული საყდარი

ყველაფერი შეცვლილა ირგვლივ,  
ნუ გააღვიძებთ, ის დადლილია, მას ფეხზე სძინავს.  
არეული გზით მოფრინავს შურთხი. საეჭვოა მასაც  
რამე მიესადაგოს დღეისმიერი. განსხვავებული ხმით  
და იერით, ისიც მზობია გარდასულ ხანთა...  
წასულა ყველა...  
ნუ გააღვიძებთ, გრძელი ჟამთასვლით ის დადლილია,  
მუსიკაა დაღეწილ ქნართა. რა სიჩუმეა საყდრის  
კართან, რა სიმშვიდეა...  
აბა, გახედეთ, რა მანძილია ნაქროლთა ქართა?

### მურად მთვარელიძე

### ხცისის ტაძართან

საიდან მოფრინდნენ  
ეს ფარშევანგები,  
საიდან შეგამკეს  
ასეთი ჰანგებით,  
ან შენი ამგები  
ნეტავი ვინ იყო,  
სივრცეს რომ შეგყინა  
და უფლის განგებით  
რომ დგახარ  
ასეთი კოხტა და ლამაზი  
შემკული მზეებით  
და ფარშევანგებით.

## ელდარ ჭიჭიაშვილი

### სანამ...

როგორც თერგის,  
მტკვარ-რიონის,  
ალაზნის და არაგვის  
დაუდგრომელ მქუხარებას  
მაცხოვარი არ აღგვის!..  
სანამ ვეფხვისა და მოყმის  
მხანძრავს სული ბალადის,  
ჩემი სისხლის ღვთიურობა  
იკაშკაშებს მარადის!  
მერე რა, რომ წინ ჯერ კიდევ  
გვემა და უფსკრულია,  
თვით მაცხოვარს დიდებისკენ  
მხოლოდ ჯვარცმით უვლია!  
გოლგოთიდან მდინარ მზერას  
დაუტბორავს სამყარო,  
რომ დრო-ჟამით ნამრუდალი  
ბნელს ნათელი გაჰყაროს!  
არ დამცხრალა ჭრილობები,  
ზედ რომ მფენდნენ ნარ-ეკალს,  
რაც სისიხლ-ცრემლი მანთხევიწეს,  
დედამიწას წალეკავს!  
გოლგოთიდან მონაბერო,  
სურნელო საკმელისა,  
ისალბუნე წყლულზე მადლი  
ჩემი ვაზის ცრემლისა!  
სანამ ძალუმს ქართველ დედას,  
მკერდი ცეცხლით იმანთოს,  
არ ჩაუქროს ბრწყინვალემა  
გელათსა და იყალთოს,  
სანამ ხმალი, დაუმცხრალი  
გმირ ხოგაის მინდისა,  
ვერ ისვენებს, ბორგავს ღამით  
კრთის სიხშირე ბინდისა,  
სანამ მცხეთის ძელიცხოველს  
მადლად მოსჩქეფს მირონი

უხმოვს მაჯას ხმალი, გულს კი –  
საქმენი საგმირონი,  
მანამ სული, ჩემი სული,  
არ იქცევა ღრუბელად,  
იმლიგინებს ამ მიწაზე,  
როგორც რაში უბელა!  
და ვგრძნობ უფლის იორდანეს,  
ემბაზი საფირონის,  
ნიშანს აძლევს, ხაზართაგან  
დარბეული იორი.  
ოქროჭალებს მოსდებია  
შემოდგომის ხანძარი,  
იწვის, მაგრამ არ იწვება  
ქართულ სულის ტაძარი!

## ანა ერისთავი

### ბარაკონი

ვაზის ჩუქურთმაში  
მტევნები ელავს,  
ფრთათეთრ ბარაკონს  
ღრუბლებში ვხედავ.  
მტრედივით ღულუნებს  
შროშნების ხევში,  
მტრედივით მშვიდია  
სიწმინდის მფენი.  
ფაზისი ეფერება  
გვერდს როცა უვლის,  
მყინვართა სამეუფო  
გალობას უთვლის,  
ჭუთხაროს მთებიდან  
იღვრება სინათლედ,  
ყველაფერს აგისრულებს,  
თუ გულით ინატრებ.  
ბზები და იები  
გუმბათსა ცვივა,  
ნაომარ ციხესთან,  
საუბრობს ხშირად,  
როცა მას ვუყურებ  
ცა \_ წმინდა მეხსნება,  
უბიწო ქალწული  
ქრისტეს ევედრება.  
ღვთისმშობლის საუფლოა,  
ლოცვა აქვს ლიბოდ,  
მზის კალთას გვაფარებს,  
ღმერთთან რომ ვიყოთ.

## დავით კვიციანი

### თეთრი ტაძარი

თეთრ ტაძარში, რწმენად ღვთისა,  
რაც სანთელი ანთებულა,  
მამულისთვის, მამულისად,  
ანთებულა მართებულად.

თეთრი ტაძრის რუხი კარი  
ვისი ხელით დაკეტილა!  
რად არ რეკავს დედო ზარი,  
სანთელი რად დაღვენთილა!

თეთრი ტაძრის თეთრი სვეტი  
იჭვნეულად რად დამყურებს,  
განმკითხველი ჩვენი ბედის,  
ცრემლის კურცხალს რად მაპკურებს!

იქნებ მითხრა, ძველი ტაძრის  
საწუხარი რად არ გალღვა,  
ჩვენი სვე და ჩვენი აზრი  
რად აჩნია ტყეებს დამღად.

დამენახვე, ბედის მთხზველო,  
დამღის ახსნა ან გსურს აღარ,  
წუთისოფლის განმკითხველო,  
მოვარდები როდის, ტალღავ!

ჰე, მამულო, გთხოვ და გვედრი,  
შენ ხარ ჩემი ღმერთთა ღმერთი,  
გააბრწყინე ბზარი კედლის,  
გააბრწყინე სვეტი თეთრი.

## ვაჟა ოთარაშვილი

### ბაზილიკები

#### *ჩემს მეგობარს თემურ შავლაძეს*

ჰოი, უფალო და ძალავ ჩემო,  
განსაცდელს ცრემლი მოაგვირისტებს...  
ყველა იუდა ბრძენობას ჩემობს,  
კვლავ ეწამება ყველასთვის ქრისტე...  
ბაზილიკებო \_ ქრისტეს აკვნებო,  
სურნელება გაქვთ ღვთისმშობლის რძისა...  
მამაო ჩვენო, ნათლის ნაკრებო,  
ბეთლემს ნათქვამო თვით ღმერთის ძისა...  
ნეტარ არიან სიმართლისათვის  
მშიერ-მწყურვალნი, ნეტარ არიან...  
შენ აარიდე მამულს ხიფათი,  
შენ დაიცავი წმინდა მარიამ,  
შენ დაიფარე ჩვენი ჩვილები,  
ერის უმანკო მარგალიტები,  
რომ საქართველოს არ დაელოს,  
ქრისტეს აკვნები \_ ბაზილიკები...

## ჯარჯი ფხოველი

### ნეკრესის მონატრება

ეხლა, როდესაც მკვდართა მზე კვნესის,  
ჩემშიც იღვიძებს სული განგების...  
დღეს მომენატრა ისე ნეკრესი,  
თითქოს მე ვიყო მისი ამგები!

ჩემშიც აკვნესდა პრეისტორია:  
გამოჩნდა დროით გადაბარდნული...  
იმისი სახე ისე შორია,  
ისე შორი და ისე ლანდური,

რომ დღეს ვერაფრით ვერ ამიხსნია,  
რას ყვება ჟამი, გულზე მცვრეული:  
თითქოს ქარია, თითქოს სისხლია,  
თითქოს წვიმაა, სისხლშერეული!..

აჰა: შორეთში ხმლების კვესება...  
აჰა: წარსულის შავი ჰანგები...  
დღეს მომენატრა ისე ნეკრესი,  
თითქოს მე ვიყო მისი ამგები!

## ნინო სადღობელაშვილი

### სიყვარული საყდრისა და კრავის

ლ-ს

მოდგებიან, მოგვიგონებენ:  
მთების ქათიბში  
საყდარი იდგაო და,  
იმ საყდრის წინ  
კრავი დარბოდა,  
ჩვილი ქუსლით ბალახს თელავდა,  
მატყლით ზეცის ბირკა დაჰქონდა,  
საყდრის კარი ღია იყო,  
ზედ მთვარის ნალი ება,  
ელავდნენ ღრიჭოები  
თავახდილ გალიეზად,  
ან კრავს იქ რა უნდოდა,  
ვინ რისთვის დატოვა,  
სხვა დედას მიუგდო  
სანთლიან, გაჭვარტლულ,  
თაფლისფერ ძუმუსთან,  
თვითონ წავიდა და უფსკრული გატოპა.  
ან ვილა გაიგებს,  
რას სწირავს თავს კრავი,  
ან ძველი საყდარი  
ვის ლოცვას იგუბებს,  
დგანან ერთმანეთის ნარჩოლარ  
ჩრდილებში  
და მზეს იცოხნიან,  
როდესაც იღრუბლებს,  
და უკიდევანოდ არიან მარტონი  
ტრიალებს მათ თავზე  
სიჩუმის ბორჯღალი,  
გადაევლებიან ვარსკვლავთა წვიმები  
მათ ფიქრებს, მათ დარდებს  
სიკეთით მორწყავენ...  
მოგვიგონებენ,  
მოგვდგებიან,



გადაგვხელავენ,  
რომ გვიპოვონ სადმე საზღვარი,  
რომელი ვინ ვართ,  
მე – კრავი თუ ან შენ  
საყდარი,  
ან პირიქით,  
ან ძალიან,  
ან იქნებ სულაც...  
უვლია ცას და, ჩვენთან ერთად  
სადღაც წასულა...

## რაულ ჩილაჩავა

### საყდარი

ჩემი სარკმლიდან მოჩანს საყდარი,  
სად კვირაობით რეკენ ზარები,  
რომ გამიმრთელონ გულის ბზარები  
და გამიტახტონ კვლავ ნატახტარი.

მე იმ საყდარში შევდივარ მარტო,  
ნათოვლარი თუ ნაწვიმარია,  
და სანთელს ვუნთებ წმინდა მარიამს,  
ვავედრებ ერს და ვავედრებ გვარ-ტომს.

როცა ჩაქრება ციმციმა ალი  
და ნამწვი ღუის, როგორც მოცხარი,  
ჩემთან უთუოდ მოდის მოძღვარი,  
რომ მომასხუროს ნაკურთხი წყალი.

იქნებ არ იქნეს ლოცვა ამო,  
იქნებ ერთხელაც ახდეს ვედრება  
და ჩვენი რისხვა და ამხედრება,  
ძვირად დაუჯდეს მტარვალს, მამაო!

## თამარ შაიშმელაშვილი

### შატბერდის მონატრება

შენს თვალებში  
თოვს,  
შატბერდი ირეკლება,  
გზა შორია და უცრემლოდ  
დაგეძებ,  
ვით ცის  
ლაჟვარდს,  
გუმბათების  
გაოცებას, მაგრამ მწუხრი  
დაუგიათ  
შავ მტრედებს...  
გზა შორია.  
გეძებ მშვიდი  
შარი-შურით,  
მზის სალბუნით  
მოგიშუშებ  
იარას,  
ტირის გული,  
წვეთავს  
შავი საფერავი.  
ზედ რამდენმა ქარიშხალმა  
გაიარა.  
ნანგრევებში ჩამარხულა  
ჩემი სევდა,  
თვალებს ვახელ  
სივრცეების ფერებით.  
ჩამოქცეულ, მავედრებელ  
ტაოს კართან  
რას უბნობენ  
მექორწინე ბერები?  
ტირის თოვლი, ვით  
შროშანი მარიამის,  
ცრემლს იშრობენ  
ჩამოშლილი თაღები.  
ჩემო ტკივილგამოვლილო

სიყვარულო,  
უფლის კართან  
ღამეს თეთრად  
ათევდი.  
გზა შორია და  
ღამეულ  
სიჩუმეში  
მოდის ლანდი  
მზედშობილი  
შატბერდის.  
ჩემო ობლად სულს  
შთენილო სასოებავ,  
ამ ადრიან გაზაფხულზე  
რას მეტყვი?

## თამარ ჯავახიშვილი

### მწვანე მონასტერი

ო, ღმერთო ჩვენო, მომანიჭე მაღლი სიტყვისა  
მაღლი სიტყვისა – უცნაური აღმონაცენი...  
იწვის სანთელი, ალმა სივრცე გაითითქმისა  
და მასთან ერთად ინავლება გრძნობის ნარჩენი...  
მწვანე უღრანში სავანეა სნეულთმკურნალის,  
გლახაკთა ხელის ამპყრობელის, მოწამის დიდის  
შემცოდე სულებს ასპეტაკებს საკმლის სურნელი  
და უხილავის შემოხედვა ძლიერი, მშვიდი.  
ვით არაერთგან საქართველოს მთების უბეში  
შენახულია სასწაულის ერის ნუგეშად  
და სულთა ჩვენთა შეწყალებად – ქრისტესა ღმერთსა  
ღვაწლითმოსილი ევედრება ცისმარე დღესა.

## ფარნაოზ რაინაული

### მონასტერი

#### სამთავისის...

ამ მიწაზე  
ლოდს ვერ ნახავთ \_  
უთვისტომოს,  
უთავისოს...  
და... ოდესღაც,  
ზეციერიც \_  
იქცა, ეგზომ,  
მიწიერად...  
აი, თუნდაც,  
აი, თუნდაც \_  
მონასტერი  
სამთავისის...  
ჩემში არის \_  
ისე ახლოს,  
შემოვიდა

გულთან ისე,  
მისი ქვა და  
კენჭიც,  
ერთობ \_  
მესისხლხორცა,  
მეთავისა...

## დავით შემოქმედელი

\* \* \*

(ათეისტურ წლებში)

შუადღე იწვის,  
წყალი ხევებთან  
შრება და აღარ  
ევლება ბექობს,  
და ძველი ციხის  
ნაშალ კედლებთან  
ისევ საყდრული  
სიჩუმე მეფობს.  
მთები თავწახრით  
მგლოვარედ დგანან,  
ვის, ვის მივუთხრათ  
საყვედურები,  
და ჯვარმოტეხილ  
ტაძართან ჩანან,  
ურწმუნო კაცის  
ნაფეხურები...

## დოდო ჭუმბურიძე

### გუდარეხი

*“მისი საძირკველი წმინდა მთებშია”...  
ფსალმუნი 86, 1;*

შემოდგომის ოქროვანით და წვიმისფრით ნაფერავი,  
ქართლის ფერმკრთალ სანახების ბრწყინავს  
ნაზი გობელენი,  
საკმეველით დაკმეულა თრიალეთი ნაქერალი,  
სოფლები და წყაროები გვიტყუებენ მოფერებით.  
სულში სიტკბოს ჩაგვაწვეთებს მდელი ასე მშვენიერი,  
ციდან, როგორც მეტეორი, თითქოს გუმინ ჩამოვარდა,  
გუდარეხი მოგვიყვება: ანგელოზებს ფერიები  
როგორ მოჰყვინენ და დაჰკიდეს ჰორიზონტზე  
ნაზი ფარდა.

ტყე უღრანი ზეცისაკენ მორჩილებით აწვდილია,  
კაკალია დაცვენილი, ქვევრი იწყებს დაღვინებას,  
აქვე ლაშა-გიორგის და რუსუდანის აჩრდილია, \_  
ბედისწერით დაჭრილ შვილთა დაბნეული გაღიმება...  
დანგრეულა სასახლე და ეკლესია ნაფერები,  
ხუთჯვრიანი დროშის რხევას  
ძველ კედელზე გაშლილისას \_  
ეფინება წუხილი და ოცნებები ქართველების,  
სადაც ნაბანაკევია გმირი ჩოლოყაშვილისა.  
წვიმაა და ღვართქაფია, მთებში ზოგჯერ ისვრის მეხი,  
მორწმუნენი ამოსულან ქალაქიდან სალოცავად,  
მეცამეტე საუკუნეს შერჩენილი გუდარეხით  
გული რომ ვერ დაიწყნარა, დარდი რომ ვერ გამოცალა...  
ჩემო წმიდა სალოცავო, სული შენს ქვებს შემოევლო,  
მონაზვნების გალობა ჟღერს ამ კედლებში სულ ახალი,  
შენთან რომ არ მოვსულიყავ, შენს სახლში  
არ შემომევლო \_

მოვკვდებოდი ამ მიდამოს და ამ ტაძრის უნახავი.  
წვიმა მოდის და მზე რჩება ნისლის გუნდთან მორკინალი,  
მდელი ფეხქვეშ გაგვეგება და გვამშვიდებს მოფერებით,  
ნაზი შემოდგომის გზით და უნაზესი ერკემალით,  
გვამშვიდებენ ქარები და ბრწყინავს მიწის გობელენი.

მაია მახარაძე (ია ჯიათელი)

## ბებერ სხალთაში მკერდმოჭრილი კვნესის ზარები

ვუძღვნი შვილს, ფესვით სხალთელ –  
შმაგი ვაშაყმაძეს

...ქრისტიანი ვარ და ვლოცულობ  
გოლგოთის ჯვარზე.  
დღესაც ქრისტეს სჯულს არ მიწონებს  
“ხანი”, “სულთანი”,  
როცა სხალთაში სანთლებს ვანთებ,  
იმედი მავსებს,  
(ძმა ქრისტიანის ხმაც ჩამესმის:  
„ხარ მუსულმანი?!“ ...)

ჩვენ, ერთი მიწის, ერთი ფესვი,  
სისხლი და ხორცი,  
ისე დაგვშალეს, ისე დაგვყვეს,  
დაგვანაწილეს,  
უცხოდ მივიჩნევთ ერთმანეთის  
ტირილს და ქორწილს,  
ვეღარ ვამრთელებთ გაორებულ  
რწმენის ნაწილებს...

თამარის ხიდქვეშ დაგვიშრიტეს  
რწმენის მდინარე,  
სხალთის ტაძარში, ფხიკეს ფრესკით  
შემკული ჭერი,  
თუმც კვლავ გაჰყურებს “დიდი ნენეს”  
მზერა მინარეთს,  
მის ხსოვნაში კი, ჯვარი ვაზის,  
გედვიით მღერის...

ბებერ სხალთაში, მკერდმოჭრილი,  
კვნესდა ზარები,  
არ ივიწყებდა, “იავნანამ”  
ქართულმა, “რა ქნა”,

ეწირებოდნენ ქეთევანის მსგავსი  
ქალები,  
ქრისტიანობას, მაგრამ მათი  
არ მესმის ჯვარცმა...

მათ იესოსთვის სისხლი ღვარეს  
და თავშლის ყურში,  
გამონასკვეული ვაზის ჯვარი  
მალეს იმედად,  
რომ სამასწლიან უღლისა და  
მონობის შემდეგ,  
სასწაულს უფლის, სამშობლოს გზა  
გამოეკვეთა...

ვერ გამოიგია თავგანწირვა, სიკვდილი,  
რისთვის,  
მამა-პაპათა სალოცავი, რისთვის  
გვინახეს,  
თუკი მავანნი თავგანწირვის და  
ბრძოლის შემდეგ,  
ივერთ მიწაზე ინატრებდნენ,  
მეჩეთ-მინარეთს....

შენ, უდიდესი ისტორიის  
მცირე ტაძარო,  
შენ, ჩემო სხალთავ, (ჩემი შვილის  
ბუდევ, სავანევ),  
შენგან იწყება განახლება  
უფლის სამყაროს,  
მე შენს სამრეკლოს: ფიქრებს ზართა \_  
შვილსვე ვაბარებ,

რომ სამუდამოდ აღარ დარჩეს  
იარად გულში,  
ფესვით ქრისტიანს, რომ  
“მუსულმან ქართველად” თვლიან,  
დღეს სხალთელებმა ვაზი საჯვრედ  
ჩაყარეს ხნულში,  
იცავენ, რასაც ბიბლიური  
სიწმინდე ჰქვია...



შენ ამ სიწმინდის გუმბათი ხარ  
ტაძარო სხალთის,  
ხუროთმოძღვრების სასწაულთა  
ერთო საუნჯევ,  
ვისაც ჰგონია შენს ეზოში  
ბზის ნერგებს დათხრის,  
ხმას გაიგონებს იესოს და  
ხმა დაამუნჯებს...

ბებერო სხალთავ, შენთანაა  
მომავლის რწმენა,  
ახლა მათ უნდა გადაწერო  
იმედის ჯვარი,  
შენს სამრეკლოზე მაცხოვარის  
კვართი რომ ელავს,  
ესაა შენი მოთმინების,  
ლოდინის ზღვარი...

ესაა შენგან გაღებული  
მრევლისთვის კარი,  
ეს სარკმელია, საკმევლის მადლს  
რომ ანაწილებ,  
ვისაც არ ჰქონდათ სანთლები და  
დაგინთეს კვარი,  
შენ უმთლიანებ გაორებულთ,  
რწმენის ნაწილებს...

დღეს ჩემს აჭარას, მთვარის კუნძულს,  
შავი ზღვის დელფინს,  
მკერდში შვილივით ეხუტება, ეკვრის  
ტაძრები,  
შენ, სხალთავ ჩემო, ვერ შეგმუსრა  
ვერასდროს ვერვინ,  
რადგან იყავი, ქრისტეს ჯვრისგან,  
განუძარცველი...

## ჯანრი გოგეშვილი

### ვინ სად იშენებს სალოცავ ტაძარს...

#### *ილუმენია მარიამ გოგეშვილის ხსოვნას*

გურიის ლამაზ მონასტერს მთისას  
დაჰკრავს სურნელი დედათ ლოცვისა,  
და მწვანე მდელოს, საბუდარს სხივთა  
ათრთოლებს ფიქრი მარიამისა....

ამა მონასტრის ამღორძინებლის  
საფლავის ქვაი აღარ ჩანს უკვე,  
საქმეთა მისთა განმაახლებელთ  
მოუხმარიათ საშენ ქვად იქვე....

ვინ სად აშენებს სალოცავ ტაძარს,  
ზოგი მწვერვალზე და ზოგი ბარად,  
ზოგი სხეულში ამკობს უდაბნოს,  
ზოგი ცის თაღთან ოცნებას ლამბავს....

შენების ნიჭი მართლაც ნიჭია,  
მართლაც მაღლია შენება ახლის,  
მაგრამ სხვაგვარი მაღლის მაღლია,  
მოვლა ხსოვნისა პირველმეტაძრის....

## შოთა ხოდაშნელი

### ზედაზენზე

...დუმილის სადგური, ტაძარი.  
მრუმეა ფრესკების თვალები.  
ნივთები სუნთქავენ კანკალით  
წარსულის ჩუმ იდუმალებას.  
კედელს შერჩენია ჯვარცმული,  
ძე კაცის – გოლგოთას თუ მიდის.  
ო, აქ დუმილია – წარსულის,  
ო, აქ სიწმინდეა დუმილის...

აქ საკმეველია დაღვრილი,  
გასულა სულ ბოლო მლოცველი.  
ტრაპეზზე დაფურცვლით დაღლილი,  
ძველი სახარება ოცნებობს...  
შედიხარ, დუმილი ირწევა,  
და სანამ არ უნდა იცდიდე,  
აქ ხელშესახებად იგრძნობა  
სუნთქვა უუძველეს სიწმინდის!

## ცირა ანთია

### ტაძრის ახლოს სხვა ქარია...

სიმშვიდეა ტაძარში და  
მრველი გალობს “ღირს არს”-ს...  
მოვილოცე კარდენახი,  
შუამთა და ხირსა...  
გული ემოციების და  
განცდის გუბედ იქცა...  
ტაძრის ახლოს სხვა ქარია,  
სხვაგვარია იქ ცა...  
დაიღალა მზე და ცაცხვის  
გრილ ჩეროში მიწვა...  
მომენატრა სამეგრელოს  
ნაწვიმარი მიწა...  
ნეტა დღეს რამ ამაყენა  
ასე დილა სისხამს...  
დღეს ცა ისე ლურჯია, რომ  
თითქოს იებს ისხამს...  
ლამაზია ბალახებში  
ამოსული ხირსა...  
ნეტა თიბათვე თუ ჩამთვლის  
გვირილების ღირსად...  
მომენატრა დაისისას  
ზღვასთან როა ის ცა...  
ნეტა ჩემს თვალს შუადღის ცის  
ლურჯი ფერი მისცა...

## ზოია ვაშაკიძე

### ბეთანია

ამოსულა თითქოს თეთრი, მთებთან ია,  
თითქოს თეთრი მოფრენილა ანგელოზი,  
აქ მზემ თითქოს აღასრულა მეტანია,  
დაიხარა და უცისფრეს კედლებს კოცნის.  
დუმს და ფიქრობს მონასტერი, ის ძველია,  
ქარებს მოაქვთ თბილი სუნთქვა ლიანების,  
მოდის სულთან ღვთაებრივი მისტერია  
და ზმანება ლანდთა ორბელიანების.  
ეფერება ცა თამარის ნაფეხურებს,  
ფრესკის სუნთქვა შერევია ფერთა რიალს  
და ნიავი ქალებრ თბილად ჩამჩურჩულებს:  
ნეტარია \_ დედოფალი, ნეტარია \_ ბეთანია.

### ნინო ნეკერიშვილი

#### ტაოს დატირება

ტაოვ, უნდა დაგიტირო,  
როგორც გაყიდული ბალდი,  
შვილიც ვარ და დედაც მქვია,  
დედაშვილურ ცრემლად დაგღვრი...  
ძვლებს ვილეწავ ფიჩხაწვრილად,  
ბლუჯად ძირს ჩამომაქვს თმები,  
როგორ გააპარეს საზღვარს,  
ჩვენი ბუმბერაზი მთები!  
ტაოვ ჩემო, დაჭრილი ხარ,  
მიტხარ, როგორ გადმოგისხა  
სისხლი, ამდენ წვალებაში,  
შერჩენილი მამასისხლად...  
ტაოვ, შენი ზურაბი ვარ,

რომელ კედელს ჩაგაშენდე?  
რას გეყოფა ჩემი ხორცი,  
თორემ, მიჩუქნია შენდა...  
“შენ ხარ ვენახს” დანატრულო,  
მუემინის კვილს ისმენ,  
მოითმინე, განკითხვისას  
შენს მალამოდ მოვა ქრისტე!  
უკვდავიც ხარ, მოესწრები  
ბედის ჩარხის წაღმა ბრუნვას,  
ტკივილოც და, მკურნალოც და,  
ტაოვ \_ ჩემო სასწაულო!

ტაოვ, უნდა დაგიტირო,  
როგორც გაყიდული ბაღლი...

## ელგუჯა ლეზანიძე

### კვეტერა

მზემ სხივები ციდან ჩამოახედა  
და ოქროში გაახვია ახმეტა.  
დილიდანვე ფიქრი გადამემტერა, \_  
უნდა ვნახო ლურჯთვალეზა კვეტერა!

ქარწანწალა თავს ქარაფებს ახლიდა,  
ქანაობდა ბუდე ყვავის ბახლითა.  
წამოედო მთის ქიმს ნისლი ბენტერა,  
ლურჯი ქოლგით შეგვეგება კვეტერა.

## ვახტანგ ხარჩილავა

### შენ ქაშუეთში მელოდი მაშინ

შენ ქაშუეთში მელოდი მაშინ,  
იდექი ანგელოსების გვერდით,  
თითქოს მელოდი იისფერ ცაში,  
ხელში ყვავილი გეჭირა თეთრი.  
ის იყო შენი წმინდა სანთელი,  
რომელიც უნდა დაგენტო ხატთან.  
შველას ითხოვდი და გამართლებას,  
მიხუტებოდი ღვთისმშობლის კალთას  
და გისველებდა ცრემლები სახეს,  
გარეთ წვიმდა და ხანდახან ელვით  
განათდებოდა “მხატვართა სახლი”  
და ლოცულობდა შემკრთალი მრევლი.  
შენ ჩაიდენდი დღეს პირველ ცოდვას  
და ეს ცრემლი და ჩუმი გოდება  
ციურ მიჯნურთან და გულისსწორთან  
იყო მალული დამშვიდობება.  
რეკდნენ ზარები და თეთრი მტრედი  
მოვერცხლილ გუმბათს ირგვლივ უვლიდა.  
შენ კი გიყვარდა და თვითონ ღმერთიც  
ვერ დაგიხსნიდა სიყვარულიდან.  
სხვა გზა არ იყო დღეს ამ გზის გარდა,  
ახლა არავის შეეძლო შველა,  
ჩვენ მოვიხედეთ და ტაძრის კართან  
მაგდალინელის დავლანდეთ მზერა...

## ომარ გვეტაბე

### ალავერდი

ისე თეთრია დღეს ალავერდი  
და ისე მაღლა ცაში მცურავი,  
არ მომაგონოთ დღე არა ერთი  
სავსე სიკვდილით და სამდურავით.

ისე შორია ახლა მიწამდე,  
რომ მხოლოდ წვედება უფლის ხელები,  
არ მომაგონოთ, რომ მას ვიცავდი  
და დავრჩი ხავსი და სახელები.

ეს ქართლის მიწა განა დაბერდა  
იქნება მუდამ მხნე და ახალი,  
ისე თეთრია დღეს ალავერდი,  
ისე ნაზი და ისე მაღალი...

## მთვარისა კერესელიძე

### ალავერდს, ილორს, ლომისას

ალავერდს, ილორს, ლომისას  
წმინდა გიორგის საყდარს,  
იმ შენი პატარობისა  
ნაფეხურები აჩნდა.

იმ შენი პატარობისა  
კვლავ სურვილები მწველი,  
ალავერდს, ილორს, ლომისას  
გეძახის, გიხმობს, გელის.

ალავერდს, ილორს, ლომისას  
შენი ბავშვობის ხმა ესმის,  
ალავერდს, ილორს, ლომისას  
გეძახის უზენაესი.

ალავერდს, ილორს, ლომისას  
წმინდა გიორგის საყდარს,  
ალავერდს, ილორს, ლომისას  
ნეტავ რა ხდება ახლა?

ალბათ ტაძარზე ჰკიდია  
სული, რაითაც გწამდი,  
იქ, სადაც ბონდის ხიდია  
გაკიდებული ცამდის...

ალავერდს, ილორს, ლომისას  
ნეტავი ახლა რა ესმის,  
ალავერდს, ილორს, ლომისას  
გეძახის უზენაესი.

## პაატა ნაცვლიშვილი

### ალავერდი

დღეს ალავერდი ისე ახლოა,  
რომ როგორც სითბო შემოდის ჩემში,  
აქ, ალბათ, თოვლის სამოსახლოა,  
მე ალავერდის სითეთრე შემშლის.  
ათასი წლის წინ მოსული თოვლი  
მე გამოვტაცე წარღვნას და ხანძარს,  
ათასი წლის წინ მოსული თოვლი  
ალაზნის ველზე აღვმართე ტაძრად.  
მოდის გუმბათთა წყება და წყება,  
ებჯინებიან ჟამდაკრულ კედლებს,



და ალავერდი წინ მიუძღვება  
გუმბათებს \_ მზისკენ გაფრენილ მტრედებს.  
მე ყველა ტაძარს შევფერავ თეთრად  
და ავიტაცებ ბავშვივით ხელში,  
მერე ზურგს ვაქცევ სულყველას ერთად  
და ალავერდის სითეთრე შემშლის!

## შოთა ტოგონიძე

### გზა სახლიდან მრავალძლამდე

ეს გზა უფლისკენ სავალი გზაა,  
აივლის აღმართს, მინდვრებს და ტყიანს;  
ჩემთვის ამაზე ძვირფასი რაა,  
ამ გზას ხომ ჩემი ბავშვობაც ჰქვია.

იქ, მრავალძალში ზარები თითბრის,  
რეკავს ზეციურ ხმათა თანხლებით;  
ჩემი ჯვრითა და მამულზე ფიქრით,  
ღვთის სასახლეში მოგეახლები;

რომ არ დავკარგო ის მადლი თუნდაც,  
რითაც აქამდე გული ამევსო  
და სიკვდილამდე ვატარო უნდა,  
შენ რაც მიბოძე უზენაესო!

## ნინო ქოქოსაძე

### სიმაღლე

მწიფე კახეთი.  
ჩაიხატა მთვარე მტევანში.  
ღამისთევაში ისევ შენზე ფიქრმა

გამათბო.  
შარშან რომ გნახე,  
დამელანდე კვლავ იმ კაბაში,  
თეთრი მარმაში,  
თლილი ყელი,  
ლურჯი საყელო.  
შენი სახელი ახლა ღრუბელს  
წვიმად დასცვივდა,  
დამიფეთდება ამ ტაძართან  
ჩემი თეთრონი.  
იცი? აქ ღმერთთან სიახლოვე  
ცხადზე ცხადია,  
რადგან სიმაღლე  
იზომება ალავერდობით.

## თამაზ ბერუჩაშვილი

### ანანურთან

როგორც ჩემია, ისე შენია  
საფერებელი მიწა \_ მამული,  
უღელი ბევრი გაგიწევია  
ხან სიჩუმით და ხან კი ხმაურით,  
მზეს ხელს უწვდიდი ცელქი ბიჭივით,  
იცოდი ბრძოლით დაღლა ნამდვილი,  
ო, ანანურო, წლებთან ჭიდილი  
არა ყოფილა თურმე ადვილი.  
მაშინ არ ვიყავ, ეხლა რაკი ვარ,  
რადგან დავდივარ ქვეყნად წვალეებით,  
უნდა დავრეკო ყველას მაგივრად  
დადუმებული შენი ზარები,  
ჟინი, ეხლა რომ სისხლში მიღელავს,  
უნდა აღვანთო, როგორც გვჩვენია,  
მაგრამ რა გასწევს უღელს იმხელას,  
რაც შენ დუმილით გაგიწევია.

## ბელა ქებურია

### ფიქრები ოთოლთას ციხესთან

ჩამოივლიან ქარები,  
ჩამოფარცხავენ კაპანებს,  
არადა, რა ენაღვლებათ,  
საითაც უნდათ მიდიან,  
დრო ყურწაგდებულთ არ  
ინდობს და აცელქებას ანანებს,  
აღარც კი შეგეკითხება,  
შენს სულში რა ამინდია.  
ყელში გაჩრილი ტკივილი,  
ვიცი, ჩაივლის ძვლებამდე  
და შენი ცრემლის მარცვალიც  
არ დაიბნევა გზა-შარად,  
სიცოცხლე მარტო იმად ღირს,  
რომ ამბოხებას ბედავდე,  
თუკი ეჭვებმა მოგუდა,  
დილის ნისლივით აგშალა.  
აჲ, როცა ყოველ ციხეზე  
წარსულის ნაკვალევია,  
სისხლში და ცრემლში მოზელილ  
ტკივილებს რაღა წაგიშლის,  
ვეღარ ეშვები წინაპართ  
ნაფუძარებზე ხეტიალს,  
ქონგურზე შემორჩენილა  
ძველი ჩუქურთმის ნაყიშლი.  
გულო, ასე რად აჩქარდი,  
გულო, ასე რამ გაგჭვალა?...  
აზრი ხომ არსით შეცვლია  
შენ სათაყვანო აჭარას,  
შენი შვილების კერძას,  
მათ წინაპართა საძვალეს,  
უცხოტომელთა ფეხის ხმა  
რად ჰზარავს და რად აწვალებს.  
ჩემო მთავ, დედა-ბოძი ხარ,

იმედით გიმზერს ქვეყანა,  
რა ქარმა არ დაგიქროლა,  
ვერ შეგიცვალა იერი,  
ოთოლთას ციხის კალთებზე,  
მტრის გულის დასამეხავად,  
გუგუნებს „მუმლი მუხასა“,  
გალობაც-მრავალხმიერი...  
აქ საქართველოს უმღერენ,  
ცეკვავენ განდაგანურსაც,  
ღირსეულ შვილებს უზრდიან ოჯახს,  
გვარსაც და მამულსაც,  
ვერ მოსწრებოდეს ვერც შინა,  
ვერც გარეული იუდა,  
მოშალოს სული ქართული,  
რადგანაც ისევ ჯიუტად  
ოქროპილაურს, ოთოლთას,  
ცინარეთსა და ფურტიოს,  
ყვავილობს ჯიში ქართული,  
სიმღერით რომ შეუტიოს  
ხმა აკვნესებულთ არსადა  
კრინით აღებულ ნოტებსაც,  
მთიელი კაცის გულისთქმა  
იმნაირ ძალით მოლესავს,  
ტაძრის ფუძეში ჩაგდების  
ჟინი აწვლებთ ლოდებსაც...  
მთისკაბა-კალთით მიყრილებს,  
მდინარით ნაბანავენსაც,  
გალობის სული ჩაუდგამთ  
ჭვანისხეობის ქარებსაც.  
მერე ზამლეთით, მარეთით,  
ნიგაზეულის ნიგვზებით,  
ვით დედოფალი ფატათი –  
შენი იმედით ვირთვები,  
მჯერა, ხიხანის ციხეზე  
კვლავ დაიყვილებს არწივი,  
დიდი სელიმის სეხნიის  
აკვანი რომ დაარწიოს!

## ჯემალ დობორჯგინიძე

### ჯუმათის მონასტრისადმი

ვეფერები ჯუმათს ჩუმად,  
თუმცა რა მაქვს საჩუმათო,  
ზარი ვერვინ ჩააჩუმა,  
რეკს სამრეკლო საჯუმათო.  
ნიავმაც ჩამიჩურჩულა,  
ცა ლურჯია საგუმბათოდ,  
ოცნებები ამისრულა,  
ჩამომცილდი, სევდა-დარდო!  
ვეალერსო მინდა ჯუმათს,  
ახლა რა მაქვს საჩუმათო?  
ვერავინ გადაგვარჯულა,  
მსურს სიმღერა საჯუმათო!

### იამზე არველაძე-ხეცურიანი

### ბრწყინავს მარადის

სვეტიცხოველი ყოვლად გძრნეული,  
დრო-ჟამთა სრბოლით ვერ დაძლეული.  
შევეყურებ კედლებს, იმედის ფრთებს ვშლი,  
(სამშობლო სანთლად ენთება ჩემში!).  
ცადაღმართულა უკვდავ მარჯვენით, –  
ურყევი არის ნება გამჩენის!  
მშვენება ქვეყნის, დიდება ერის,

აისის დარი, სისხამ მზისფერი.  
მძლევი წყვილიადის, მომფენი ნათლის,  
სავსე მირონით, უფლისა მადლით.  
მარადისობად ზესკნელ-ქვესკნელის  
გვიცქერს ხატება პირმკრთალ ფრესკების.  
ჩაკონებია ქართველთ სულელები:  
ჩურჩულით, ლოცვით დაუსრულებლივ.  
ღვთისმშობლის მიწის განთიადია,  
ივერიის მზებრ იწვის ანთია!

.....

ღვთიურ გრძნობების დამათოველი,  
ბრწყინავს მარადის სვეტიცხოველი!!!

## მაია დიაკონიძე

### წმინდა “სამების” ტაძარს

რა ლამაზი ხარ, ჩემო ტაძარო,  
ცისაკენ რწმენით უნდა გვატარო,  
კედლებზე ცისკრის გველება შუქი,  
გაუფანტია ფერები მუქი,  
თეთრად ელვარებ, როგორც სანთელი,  
შარავანდედით შეგმოსა ღმერთმა,  
ბნელეთის ძალთა დამანგრეველო,  
გამარჯვების გზას გავივლით ერთად.  
შენ დაგვილოცე ქართლისა მრევლი,  
მადლით მოწურე მტევანი ვაზის,  
მრავალჟამიერ გუგუნებდეს ხმა  
ღვთის ანგელოზის, მხარზე რომ გვაზის.

## მარიამ ქსოვრელი-ხართიშვილი

### მეტეხი

გზა ტაძრად მიდის,  
მწუხრის ლოცვა იწყება მალე,  
ამ ქვეყნიურის ძლევის წყურვილით  
ხშირად მივლია ამ მყუდრო გზაზე,  
ქულა ღრუბლები თვალებს მოაწყდა,  
მოჩანს მეტეხი.  
ამაოების მოსაწყენ დღეებს  
კვლავ შვებით შეცვლის,  
სული მიხარის.  
თვალეებში ჩადგა შუქი მარადის,  
ეს ის ხედია \_  
ყოველს რომ შეჰკრებს,  
მერმე დალოცავს.  
გულია აქეთ, სხივებს გვიგზავნის  
და ჩვენც ამ მხარეს მოვალთ წადილით.

### ნიკა ფუტკარაძე

### ოშკის ანდერძი

დავბერებულვარ, ნაოჭებს ვითვლი  
და კვირტებივით ჰყვავის ჭაღარა,  
ვაითუ, ფესვში სიკვდილი მიზის,  
თუმცა ამდენი ხანი მატარა.

თუ კურთხეული ვარ ქართველთაგან,  
ძვლებში რად მამტვრევს მამ, ნოსტალგია?  
ქართველო, შენი წინაპრის კვალი,  
ტაო-კლარჯეთის მიწას ატყვია.

მე ვინ მომირჩენს დროის ნაქუხარს,  
ვინ დამიამოს დარდი, ფიქრები...  
და სანთელივით ერთ დანთებაზე,  
ნელ-ნელა სევდის ალით ვიწვები.

ეჰ, ჩემო მიწავ, რწმენის საუნჯევ,  
როგორ შორსა ვარ ქართველებისგან  
და თურქის ხელში ლამის მეჩეთი –  
ბნელ დამესავით დამიძმობილდა.

ამას წინ ვნახე ჩემი ქართველი,  
ჩუმად და მალვით კედლებს ჰკოცნიდა,  
მაშინ ვიგრძენი, დღემდე ქართველში,  
ძალიან დიდი რწმენა ყოფილა.

გამთენიისას ჩამესმის ხმები,  
რომელიც ძილშიც უმაღლ მალვიძებს,  
რამდენი ხანი ვსაუკუნდები,  
ცრემლით ვიხსენებ მინდვრის ყვავილებს.

გამაკრეს ჯვარზე, ჭვარტლში მახრჩობენ,  
ხან მაწამებენ, ხანაც მანგრევენ...  
და ქართველები დადუმებულნი,  
ცრემლით ალტობენ ტაძრის ნანგრევებს.

ლამის გავთურქდი. ენით ვბორძიკობ...  
იე, ჩემს მიწაზე, მეჩეთებს ვხედავ,  
ვაი, ტკივილო! და ვაი, შიშო,  
ჯობია ერთად ადამი გერქვას.

აიღეთ ხმალი! აღმართეთ დროშა!



დროა, ვიბრძოლოთ ჩვენი განძისთვის,  
ყოველდღე ჩვენს გულს დაცემულს ვხედავ,  
დრო მეხურება შავი ჩადრივით.

შენ, ჩემო ჭკვიანო, ლამაზო ქართველო,  
მოდი და აღმართე ქართული დროშა,  
არ მიმატოვო, მომკიდე ხელი,  
თორემ მეც ლამის თურქულად გლოცავ.

გადარჯულდით და დაეცით განა,  
ვინგრევი, თქვენი ბებერი ოშკი  
და როცა მოხვალთ ჩემთან, იცოდეთ,  
დაგხვდებით მხოლოდ აგური ორი.

ისმინე ქართველო, ანდერძი ესე  
და მოსვი სიმწარის ჩემი ფიალა,  
გიგზავნი ცრემლებს, გიგზავნი ლექსებს,  
რომ გულისგულთან ჩამოგიაროს.

ალბათ თქვენს გულთან მოვა ეს ლექსიც,  
გამოიღვიძებს ქართველი ერი,  
გახსოვდეთ, ოშკთან უფალი გიცდით...  
და მომავალი სვებედნიერი.

## მაკა გელაშვილი

### მონასტერში

ვსასოებ ტაძრის ხატებთან ერთად,  
ფრესკიდან მლოცავს ჰოე და ანი,  
არ ვიცი მთვარე საით ეშვება,  
ან მზე სადაა ამდენი ხანი.

გულში – ლოცვებით ავსებულ სკივრში,  
ჩასავარდნიც კი არაა ნემსის.  
მზერა ახუნებს მონაზვნის ლეჩაქს,  
მდუმარე სენაკს ჩურჩულიც ესმის.

მე ალბათ ვრჩები ჰორიზონტს მიღმა,  
გალობის ექოს მიზიდავს ქარი.  
ასეთი მშვიდი არსად ვყოფილვარ,  
არსად მინახავს ცაც ამდაგვარი.

## ნინო ლარცულიანი

### ტაო-კლარჯეთი

ხანძთის მოღვაწევ, მამაო გრიგოლ,  
დაუღალავად მლოცველო ჩვენთვის,  
დავმძიმდით, როგორც ძველი აკიდო,  
შემოგვრჩა ერთი იმედის ჩელტი:  
გამოითხოვე წყალობა ღვთისგან  
და აგვაშენე, როგორც შატბერდი,  
ააგე ჩვენში:

იშხანი,

ხანძთა,

პარეხი,

დაბი,

მერე

და ჯმერკი!

ჩვენ აქამომდე გვიფარავს მაღლი  
ამ მონასტრებში მოღვაწე ბერთა,  
ჩვენდა წყალობად დგას წყაროსთავი,  
იმედად –

ბერთა

და

ბარეთელთა!

დგას

მიძნაძორი

და

დოლისყანა,

სვეტად სინათლის და სასოების,

მოსავლიანი გაგვხადე ყანა,

ვით ჩვენი ენა და ასოები...

ცაო, მოგვფინე უშრეტი მაღლი,

საქართველოსთვის მლოცველ მამათა,

ჩვენ გადაგვარჩენს ტაო-კლარჯეთი:

შატბერდი,

ოშკი,

იშხანი,

ხანძთა!

## გია მურღულია

### ჯვარი მოჩანს

ჯვარი მოჩანს \_ ცისკენ გზად  
მთის მწვერვალის სტუმარი,  
მიყვარს მისი ხატება,  
სამგზის გაუხუნარი.  
ის მთა მე ვარ, პაპისგან  
მერგო მასპინძელობა  
და მაცხოვრის თვალების  
მარადი ენძელობა.  
კაცთა ყინვას სანთელით  
სითბოს ვაძლევ მეც იმდენს,  
რომ იესოს შემთხვევით  
ზამთარში არ შესცივდეს.

## მერაბ სიდამონიძე

### ალავერდი

ამ სიმწვანეში იღვრება თეთრად,  
თუ აგვისტოში მოსულა თოვლი,  
ტაძარი მალლა იწევს და ფეთქავს,  
თითქოს უბეში ფართხალებს გნოლი.  
მზერა მიჰყვება სხივების კიბეს,  
ჯადოშებმული ვდგავარ და ვუმზერ \_  
ჩამოღელია კახეთს საკინძე  
და ალავერდი მოუჩანს გულზე.  
მას ახსოვს ჟამთა სრბოლა \_ საზარი,  
ის აღზევება და ის დაცემაც  
და იმსახურებს თეთრი ტაძარი:  
შიშს, მოკრძალებას და აღტაცებას!

## ზურაბ ყოლბაია (იმიერი)

### სვეტიცხოველი

როდესაც მწუხრი შეანელებს ღამის დინებას  
და მთვარის შუქზე გამოჩნდება ტაძარი ღვთისა,  
როდესაც დაღლილ ანგელოზებს ჩაეძინებათ  
და შორით ისმის უკუნეთში შრიალი ტყისა,  
როდესაც სიზმრებს დანებდება ირგვლივ ყოველი,  
ჩვენს ტანჯულ სულზე იწყებს ლოცვას სვეტიცხოველი.

### მამუკა დემეტრაშვილი

#### ტაძარში

შემო ტაძარში, აქ სიმშვიდეა,  
აქ არ ბობოქრობს ქარბუქი ჯავრით,  
აქ გადარჩენის მოჰყავს იდეას  
წუთისოფლისგან ნატანჯი მგზავრი.

აქ არ ესწრაფვი მტრისკენ გზად რევანშს  
და სიძულვილის განაგდებ როკვას,  
აქ სინანული აფრქვევს შადრევანს  
და სიყვარულით ჰპოულობ მოყვასს.

აქ ცდუნებების მქროლავ ბანდათა  
დევნას გაურბი, სულს მსჭვალავს ჭვრეტა,  
აქ შენს სისუსტეს ამჩნევ თანდათან,

მიჰყვები სულის სრულყოფის ეტაპთ.

აქ იფანტება ლოცვით მირაჟი,  
გული იშუშებს ტკვილს და ნაპრალს,  
სული აღსდგება ჯვარცმის კვირაში,  
რომ სინამდვილე არ იქცეს ზღაპრად.

შენ წარმატებებს უძღებ გზით ენდე,  
ცოდვილ საწუთროს მხდალო თუ გმირო,  
ხვალინდელი დღე რომ გაგითენდეს,  
აქ უნდა უფალს მადლობა სწირო.

თუმცა დაშნის წვერს გულთან არ იბჯენ,  
თვით გონიერი დაგეძებს მგელი,  
ითვლის ვრცელ რიგებს ტაძრის კარიბჭე,  
სტუმრებს აცილებს, ახლებს კი ელის...

შემო ტაძარში, აქ სიმშვიდეა,  
აქ არ ბობოქრობს ქარბუქი ჯავრით,  
აქ გადარჩენის მოჰყავს იდეას  
წუთისოფლისგან ჯვარცმული მგზავრი.

## ნანული ყურშუბაძე-გვარიშვილი

### მე და ტაძარი

გამოვიღვიძე და ვიგონებ სიზმარს საოცარს,  
ვიხილე ხატი, ოქროსფერი მზისა სადარი,  
თითქოსდა ნათლად მივადექი ტაძარს სალოცავს  
და უცაბედად რაღაც ძალამ შესძრა ტაძარი.  
ჩემი თვალები დაემგვანა ანთებულ ლინზებს,  
მიმოხატული კედლებიდან მოჩანს ხატები,  
მომიახლოვდა ღვთისმოსავი და კარებს მიღებს,  
ტაძარს ანათებს მათი სხივთა ათინათები.

ანთებულ სანთლებს ვეკითხები აქ მოსვლის მიზეზს,  
მპასუხოვნ: “ილოცეო, ევედრე ზეცას”,  
მათი შემყურე მეც სანთლებივით თვალს ცრემლით ვივსებ,  
და ასაფრენად ვემზადები, ფრთებს ნაზად ვკეცავ.  
“გწამდეს ჩემიო”, – ვილაც მემახდა იდუმალ რხევით,  
შევხედე ზეცას გაცისკროვნებულს ცეცხლი ეკიდა,  
მძლავრი ტაძარი ჩემთან ერთად აიჭრა ზევით,  
ლოცვა – კურთხევით ცის ლამაზ თაღზე ჩამოეკიდა.

## დარეჯან ხვედელიძე

### ზიარება

#### *მღვიმევის მონასტერში*

მთელი დღე წვიმდა და ქარიც ქროდა,  
იყო მოწყენის დღე საოცარი,  
მღვიმევის კლდიდან მიცავდა ქოლგა,  
ტაძრის სიწმინდე – ღვთის სალოცავი.

ვერ შემაფერხებს ქროლვა ქარების,  
თუმც აუწეწავთ ეკლის ბურდები,  
რწმენით აინთენ ჩემი თვალები,  
უფლის ძალაში უფრო ვრწმუნდები.

იყო გალობა და იყო წირვა,  
სანთლის სურნელი, მზერა დამხვედრის,  
გარეთ კვალს შლიდა ქარი და წვიმა  
და აღსარებას მღვდელს თავს ვახვევდი.

მერე, ცოდვილი მეც მაზიარეს,  
არ ვიცი რისთვის, მსურდა მეტირა,  
ბილიკი სწრაფად ჩამოვიარე,  
ტვირთმოხსნილმა და სულგაწმენდილმა.



## სევარიონ (სოსო) ნადირაძე

### მესხეთს

მთის წვერზე ვხედავ ტაძარს მეთასეს,  
ჩემსკენ იღვრება შუქი ულევო  
და დღე ქადაგებს შემკრთალ მწვერვალზე  
ანდრია პირველწოდებულებით.

რწმენაა ვაზი და არჩევანი  
და მესხეთიდან ჯვრებად, ტაძრებად,  
ნორჩი ლერწი და მწიფე მტევანი,  
ბოდბის ქედისკენ მიემართება...

მთებზე რომ რწმენის შუქი კიაფობს,  
ცას რომ ეკუთვნის ახლა სრულებით,  
ვერ გამიგია ტაძრებია, თუ  
გრიგოლ ხანძთელის ნაფეხურები?!...

ჩემი ბილიკი რატომღაც ღელავს,  
ერთი წიგნი კი მოჰგავს სალოცავს  
და როცა მთა და მწვერვალი ყველა  
თრთოლვით კითხულობს “ვეფხისტყაოსანს”,

დილა თენდება, როგორც ლაზარე...  
და დგას პოეტი მთავარ მეთისრედ,  
ხოლო ციხე და ყველა ტაძარი  
თვალეებს აპარებს თამარ მეფისკენ...

## თორნიკე ჭელიძე

### რკონი

რკონი,  
ნიავი...  
მზის სხივებმა მტვრის – დროის ხაზი  
ტაძრის ქვიან ტანში გამოჭრეს  
(ისმოდა ლოცვა – ყელგაღადრულ კრავთა ბალადა).  
მე მომეჩვენა,  
დიდი ხნის წინ ნაწერ ფრესკაზე  
იდგა მარიამ...  
და ჩვილ ქრისტეს, როგორც ნაოჭებს,  
სახეზე  
კედლის წარსულ ბზარებს ვერ უმაღავდა.

## ლეილა თარალაშვილი

### თუ არ გავხედე...

მინდა გავცურო მღვრიე მდინარე,  
მგზავრი შევჩერდე წმინდა ნაპირზე,  
რომ დავუმღერო სიწმინდის ტაძარს  
და მარად ჟღერდეს ჩანგი აპრილზე...  
მაგრამ... ფიქრიც კი მიჭირს ყოველდღე,  
თუ არ გავხედე რწმენით ალავერდს,  
ველურ ყვავილთა უფლის ფერწერას –  
ციურ დიდებას ვერ ავუვლი გვერდს...  
ან სისხამ დილას, რომ არ გავხედო  
და ღამენათევ უძინარ მთვარეს,  
ყაყაჩოების ხანძარს ყანაში –  
ვაზის კვირტების მტირალა თვალებს...  
ვაზის ყვავილთა ვერც სურნელს დავთმობ  
და იასამნის მედიდურ მზერას.  
სული ღიღინებს, ვერ შევაჩერებ,  
გინდ დამწვას ფერთა ველებზე მზემა.  
ქართლოსთა რჯულის გუშაგს, ნათლისსვეტს,  
ლოცვად შემდგარმა თუ არ გავხედე,  
ის დღე მგონია უქმად ჩავლილი  
და მიახლდება ლოცვის წყურვილი!

## ამირან ხაბაზი

### ბანას ტამარი

ბანთაბანო, სარკმელ-ბანავ,  
ზეცისკენ ვინ აღგიტანა,  
იქნებ ხელმან ლაზისამან,  
იქნებ აჭარელმა, განა...  
ვინ გიმღერა ნანი-ნანა,  
ვინ გიცეკვა განდაგანა,  
ბალავარს ვინ ჩაგეტანა,  
იქნებ აჭარელი, განა...  
ვისმა ზარმა მოგიბანა,  
პარხალმა თუ დოლისყანამ,  
თუ ხახულმან ტყუპისცალმან  
ან თუ ოშკმა \_ შენმა დამან...  
ვინ მოგხატა თავიდანა,  
ვინ დაგწერა ანაბანა,  
ან ვინ დაგცა გულში დანა,  
ან ჭრილობა ვინ მოგბანა...  
ვერცა რამე დამიბარა,  
ვერცა ზარი მომიბანა,  
მხარზე წვეთი დამენამა,  
თალიდან თუ თვალიდანა...

## იზო ცარციძე

### მღვიმევის მონასტერი

ვტირი, მშვიდობას ღმერთს ვევედრები...  
შენც დაჭრილი ხარ, სისხლი გდის თითქოს  
და მიმოწნული ორნამენტები  
ერთგული ხელის შეხებას ითხოვს...  
ნაზად გიკოცნი მტრედისფერ კედლებს,  
სულ მახსოვხარ და სულ მენატრები,  
ვარ მოხიბლული, სულის სიღრმემდე,  
უსათნოესი შენი ხატებით....  
წმინდა გიორგი და ღვთისმშობელი  
გვაიმედებენ იდუმალ მზერით  
და მე იმ ნათელ დღეებს მოველი,  
ქარს რომ გაჰყვება ჯანლი და მტვერი,  
რომ ჩაიმუხლებს ავგული მტერი,  
რომ გადარჩება ქართული გენი  
და კვლავ იმღერებს “მრავალჟამიერს”,  
მკვდრეთით აღმდგარი მამული ჩვენი...

## დავით გაბუნია

### სვეტიცხოველი

ათასი წელი ისმის რეკვა შენი ზარების,  
ერის სულიერ სიდიადის სიმბოლოდ იდექ!  
ბარბაროსები აწყდებოდნენ მამულს ზვავებად  
და შენი ქვეყნის სატკივარი ბოლომდე ზიდე!..

ო, ვინ ჩამოთვლის ურჯულოთა დაუნდობლობას,  
შენ უქარქაშო ხმლებს მიენდე და ციურ სიბრძნეს...  
განამტკიცებდი დასაბამით ერის ობლობას  
და ვზომავთ შენი შემართებით დროსა და სივრცეს...

ვერც ყაენებმა დაგაჩოქეს, ვერც თემურლენგმა,  
ქრისტეს სულიერ სიდიადეს ბოლომდე ენდე!..  
თუმცა გაწყდებოდნენ ქარიშხლები მღვრიე და ლეგა,  
ბზარი არასდროს გასჩენია შენს მაღალ კედლებს!

ხარ აზიდული საუფლოში მეშვიდე ზეცის,  
ხან მზის ამოსვლას ეფერები, ხანაც დაისებს...  
შუქი გედვრება ჩანჩქერებად ოქროს და ვერცხლის  
და გაფენია ღვთიურ ნების სიდარბაისლე...

## ია კოპლატაძე

\* \* \*

ცა ამობრუნდა, ვარსკვლავები აჩუქა  
მიწას \_  
ყოჩივარდები აკიაფდნენ ახლა მინდვრებზე...  
ფერი ფერს მიჰყვა და ხანძარი  
მდელოებიდან  
გუმბათებს მისწვდა...  
უნაზეს ცეცხლში აელვარდნენ ეკლესიები.  
„ქრისტე მოდისო!“ \_ აედევნენ ზარები  
ზარებს.  
ტაძრები კდემით მოიდრიკნენ \_ თავი დახარეს  
და სულს აღდგომის ძოწისფერი  
მწუხრი ახარეს...

## ჯემალ ინჯია

### სიზმარში დასაშვები ანაქრონიზმი

#### *გრიგოლ აბაშიძეს*

ბატონო გრიგოლ, ერთი კვირის წინ ჩემს  
სიზმარში  
თქვენ პრემიების კომიტეტის  
სხდომას მართავდით.  
ოთახის ფანჯრებს აწყდებოდა  
ცხელი მზის მარში.  
ფეხზე იდექით, ხალხს სხდომის ოქმს  
განუმარტავდით:  
ქართველი კაცის სიამაყე  
ჯვარი, გრემია,  
ზარზმა, ხერთვისი... და მრავალი  
გვაოცებს დღემდე.  
არქიტექტურის დარგში დიდი შოთას პრემია  
ჩვენ მივანიჭეთ არსუკიმეს,  
სიკვდილის შემდეგ.



## კონსტანტინე (კოკა) ვეკუა

### ხანძთა

#### *ბუბა კუდავას*

ობოლო ხანძთავ-ხანძთელის ქნარო,  
შემოგძარცვია სულის ბეგთარი,  
ლაჟვარდი ზეცის ტკბილო ნეკტარო,  
მწუხარე სახის გიფარავს ფარი.  
ჩუმი ტირილით მოგველი დღესაც,  
თავად მშობელი ჩვენი სიმტკიცის,  
წმინდა გიორგის ხმალი ვინც ლესა,  
ვინაც ატარე უკვდავი ფიცი.  
კვდომის მსახვრალი შემოგეძალა,  
შენ ურჩად ებრძვი, ქედმოუხრელი,  
აღდგომით, ხანძთის ჯვარცმულო ძალავ,  
გიახლოვდება ისევ ნათელი.  
ობოლო ხანძთავ-ხანძთელის ქნარო,  
შემოგძარცვია სულის ბეგთარი,  
ლაჟვარდი ზეცის ტკბილო ნეკტარო,  
მწუხარე სახის გიფარავს ფარი.

## ერეკლე სალიანი

### ქუთაისს

აქ ბაგრატ მეფემ მიწა  
აკურთხა უფლის ტაძრად.  
შენი მზე, სულს რომ მიწვამს,  
ცისარტყელაში გაძვრა.

გიმღერ და შენზე ვფიქრობ,  
ცრემლო, მინდობილ თვალთა,  
აქ დაიბერტყა თითქოს  
უფალმა თავის კალთა.

სიცოცხლე ხარ და ღვივი,  
სავსე სიკეთით, მადლით,  
ცას გამოექცა სხივი  
და შენს ქუჩებში დადის.

დადის და ჰქარგავს შუკებს,  
შენც მზის სწორ უსათუოდ,  
უკვდავებასაც უკვე  
ვხედავ, რომ ველარ ჰგუობ.

გეძახი, შენი ხმა ვარ,  
შენი მოდგმის და გვარის,  
შენს კარიბჭესთან ვდგავარ,  
გამილე საყდრის კარი!

## თამარ ფარჩუკიძე

### გული დამრჩა

ოთხი დღე და ოთხი წელი,  
მერე კიდევ – ოთხასი,  
დარდი მქონდა, ფიქრი მქონდა  
ბანასი და ოთხთასი...  
აჰა, მოველ, მოგეახლე,  
სული შემოგაფერე,  
იავარქმნილს, თუმც ოდესღაც  
ნალოცევს და ნაფერებს.  
მეცნო ჩემი ცა და მიწა,  
ჩემი დასაფიცარი,  
გადამქრალი ფრესკები და  
ჩუქურთმები ვიცანი...  
ხანძთა – სული ქვადქცეული  
ზეცის კაცის – ხანძთელის  
და შატბერდი – ნიშან-სვეტი  
განსაცდელის, განცდილის...  
შავშეთს – ციხე თამარისა,  
იშხნის ტაძრის თაღნარი,  
წყაროსთავის სავანეთი,  
ვალაშკერტის ბაღნარი...  
იმერხევის მთაწნულები,  
ხევი მზის საბუდარი,  
ბასიანი – დიდებული,  
საუფლო საჩუქარი...  
არტანუჯი – კლდის ნატეხი,  
უამრავ ჭირნახული,  
ოშკი, ტბეთი, კარი, ბერთა,  
პარხალი და ხახული...  
ტაოსკარი – გაპობილი  
მოლაშქრეთა ხმებითა,  
კოლას გზებზე – ნატერფალი

კოლაელი ყრმებისა...  
დადაშენი – დახლართული,  
დოლისყანა – ეული,  
ოპიზაში – ანაბეჭდი  
ოპიზრებისეული...  
კლარჯეთს – თეთრი ნანგრევები  
ბაგრატოვანთ პალატის  
და აჩრდილი “ტკბილი, უხვი  
დიდი კურაპალატის”...  
ფანასკერტის სანახები –  
ვარდისფერი კორდები,  
გალობა ჟღერს ჩვენებური  
ქართული აკორდებით...  
მოვილოცე, გარდასული  
წელი, ლამის ოთხასი,  
გული დამრჩა, ჭოროხის პირს,  
მადლი დამაქვს ოთხთასი.

## გენო კალანდია

\* \* \*

უფალო, გრემის ციხეა აქეთ  
და კიდევ ერთი საყდარი ღვთისა,  
აქ გაუვლია მშვენიერ რაკჰელს  
იესოს კვართით და ეტლი ცისა.

ვარდ-ყვავილებით მოურთავთ მლოცველთ...  
და ბედნიერი ტიროდა მრევლი,  
და ნათდებოდა საყდარი ბორცვზე  
მტრედივით მშვიდი და საყვარელი.

## გივი გოგნაძე

\* \* \*

ვაგეთ ტაძრები,  
ვაგეთ ტაძრები  
და პირველებმა ვაზიც ვახარეთ...  
ჭირთათმენით და ჭირში გაძლებით  
დროშა კაცობის ძირს არ დავხარეთ.

ბევრი გვინახავს ომის ხანძრები,  
სიკვდილის ქართა გადაჭენება...  
ცამდის აწვდილან წმინდა ტაძრები,  
მტერსაც მოხიბლავს მათი მშვენება.

## რატი ამაღლობელი

### ოშკი

რახან შენ დგახარ. თან ხარ, თან არ ხარ.  
ქვა ხარ და ქვაში ხმა ხარ და გავხარ  
აღმავალ ლოცვას, რომელსაც ამხელ  
და რომლის დროსაც ტანიდან გახვალ  
შენ იმხელა ხარ. და რახან დგახარ  
სახვა ხარ, სახავ სახეთა სხვაგვარ  
შინაარს ზენას, სიღრმეთა წიაღ  
რომ მარხავ, დიად! აღდგომად მარხავ.  
აღდგომა ახლავს შენს ყველა ზრახვას  
სულისას, რომლის გვამ ხარ და გვახარ  
მის სახელს ახალს, რახან შენ დგახარ.

## სარჩევი

ხალხური  
გრიგოლ ორბელიანი  
ნიკოლოზ ბარათაშვილი  
ბარბარე ჯორჯაძე  
მარიამ ერისთავი  
ალექსანდრე აბაშელი  
ვალერიან გაფრინდაშვილი  
გალაკტიონ ტაბიძე  
კონსტანტინე ჭიჭინაძე  
ტიციან ტაბიძე  
საფო მგელაძე  
გიორგი ლეონიძე  
სიმონ ჩიქოვანი  
ვიქტორ გაბესკირია  
ნიკო სამადაშვილი  
ირაკლი აბაშიძე  
ანდრო თევზაძე  
გრიგოლ აბაშიძე  
რევაზ მარგიანი  
იოსებ ნონეშვილი  
ხუტა ბერულავა  
ანა კალანდაძე  
ოთარ ჭელიძე  
მიხეილ ქვლივიძე  
სილოვან ნარიმანიძე  
ფრიდონ ხალვაში  
გიორგი ხუხაშვილი  
თამაზ ჩხენკელი  
შოთა ჩანტლაძე  
ნოდარ დუმბაძე  
გიგა (გიორგი) სხირტლაძე  
შოთა ნიშნიანიძე  
მუხრან მაჭავარიანი  
სულხან აბდალაძე  
გიორგი კორნაპელი



ნუნუ კერესელიძე  
თამარ ერისთავი  
ოთარ ჭილაძე  
ზურაბ გორგილაძე  
თემო ჯაფარიძე  
მერაბ კოსტავა  
ზვიად გამსახურდია  
არჩილ ფირცხალავა  
ლაშა გახარია  
თამაზ ბაძაღუა  
კოტე კაკიტაძე  
ჯანსუღ ჩარკვიანი  
ვანო ჩხიკვაძე  
დავით წერეთლიანი  
მანანა ჩიტიშვილი  
თინათინ მღვდლიაშვილი  
ემზარ კვიციანიშვილი  
თამაზ ჭილაძე  
ტარიელ ჭანტურია  
ზურაბ კუხიანიძე  
ვახტანგ ჯავახაძე  
მარიამ წიკლაური  
თემურ ჩალაბაშვილი  
დავით თედორაძე  
ლია ბედოშვილი  
ბადათერ არაბული  
თემურ შავლაძე  
გვანცა ჯობავა  
ანდრო ბუაჩიძე  
ნუკრი ბერეთელი  
თეიმურაზ აბულაძე  
შოთა ზოიძე  
ლევან ფანჩვიძე  
მაია ჯალიაშვილი  
მალხაზ მაჭავარიანი  
კობა არაბული  
ქეთევან დოლიძე  
შარლოტა კვანტალიანი  
რეზო ესაძე  
მურად მთვარელიძე  
ელდერ ჭიჭიაშვილი

ანა ერისთავი  
დავით კვიციანიძე  
ვაჟა ოთარაშვილი  
ჯარჯი ფხოველი  
ნინო სადღობელაშვილი  
რაულ ჩილაჩავა  
თამარ შაიშველაშვილი  
თამარ ჯავახიშვილი  
ფარნაოზ რაინაული  
დავით შემოქმედელი  
დოდო ჭუმბურიძე  
მაია მახარაძე (ია ჯიათელი)  
ჯანრი გოგეშვილი  
შოთა ხოდაშნელი  
ცირა ანთია  
ზოია ვაშაკიძე  
ნინო ნეკერიშვილი  
ელგუჯა ლეზანიძე  
ვახტანგ ხარჩილავა  
ომარ გვეტაძე  
მთვარისა კერესელიძე  
პაატა ნაცვლიშვილი  
შოთა ტოგონიძე  
ნინო ქოქოსაძე  
თამაზ ბერუჩაშვილი  
ბელა ქეზურია  
ჯემალ დობორჯგინიძე  
იამზე არველაძე-ხეცურიანი  
მაია დიაკონიძე  
მარიამ ქსოვრელი-ხართიშვილი  
ნიკა ფუტყარაძე  
მაკა გელაშვილი  
ნინო ლარცულიანი  
გია მურღულია  
მერაბ სიდამონიძე  
ზურაბ ყოლბაია (იმიერი)  
მამუკა დემეტრაშვილი  
ნანული ყურმუზაძე-გვარიშვილი  
დარეჯან ხვედელიძე  
სევარიონ (სოსო) ნადირაძე  
თორნიკე ჭელიძე

ლეილა თარალაშვილი  
ამირან ხაბაზი  
იზო ცარციძე  
დავით გაბუნია  
ია კოპლატაძე  
ჯემალ ინჯია  
კონსტანტინე (კოკა) ვეკუა  
ერეკლე საღლიანი  
თამარ ფარჩუკიძე  
გენო კალანდია  
გივი გოგნაძე  
რატი ამალლობელი